



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნელი მშვენიერიძე

ტინანსური რისკების მართვის ძირითადი თავისებურებანი:

მსოფლიოს გამოცდილება და საქართველო

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომში შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის

მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი,

ასოც. პროფ. თეა ლაზარაშვილი

თბილისი

2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში, ფინანსური რისკების მართვის თავისებურებანი: მსოფლიო გამოცდილება და საქართველო“, ეძღვნება ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს, როგორცაა ფინანსური რისკების მართვა და მათი თავისებურებანი.

ნაშრომის პირველ თავში - რისკი და მისი რაოდენობრივი შეფასება, განხილულია ცნება „რისკის“ განმარტება, ფინანსური რისკების მართვა, ფინანსური რისკების კლასიფიკაცია და შეფასების მეთოდები

მეორე თავში - ფინანსური რისკების სისტემური მართვა მსოფლიოში, განხილულია გლობალიზაცია, როგორც ფინანსური რისკების ზრდის ფაქტორი და მსოფლიოში არსებული ფინანსური რისკების სახეები.

მესამე თავში - საქართველოში რისკების მართვა, ეროვნული ბანკის მიერ, დახასიათებულია საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, რისკების შეფასების პროცესი და იპოთეკური სესხის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასება.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში განზოგადებულია კვლევის შედეგები, ნაშრომი მოტივირებულია იდგით გამოითვალოს რისკები ფინანსურ ბაზარზე, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია საფინანსო ინსტიტუტებში. დასკვნის ნაწილში მოცემულია შედეგი, თუ როგორ უნდა გახდეს ფინანსური რისკები უფრო მართვადი და სტაბილური.

The main features of the financial management of the financial risks : The word's
experience and georgia

ANNOTATION

In the master degree thesis, features of financial risk management : „, worls
experience and Georgia”, which is dedicated to one of the most actual issues, such as the
financial risk management and features.

In the first chapter of the thesis – risk and quantitative assessment, where is
discussed, about meaning of the notion „risk”, the management of the financial risk, the
qualification of the finantiol risks and methols of avaluation.

In the second chapter of the thesis include: The systematic management of the
financial risk in the worls where is discussed about globalization as the factor of
increasing financial and there are existing kinds of financial risks.

In the third chapter of the thesis is discussed about management of risks in
Georgia. There are the main principal , the prcess of risks the assessment of risks and
borroweris solrency during provide a loan.

The results of the research are generalized in the conclusion, the main idea and the
motivation of the research is to calculate risks on the finane market, which is crcucual in
this sector. The results at the and show us how risks regarding to finances can be
managed and stabilized

შინაარსი

შესავალი	6
თავი 1 . რისკი და მისი რაოდენობრივი შეფასება	9
1.1. ცნება „რისკის“ განმარტება	9
1.2. ფინანსური რისკების კლასიფიკაცია და შეფასების მეთოდები	14
1.3. ფინანსური რისკების მართვა	19
თავი 2. ფინანსური რისკების სისტემური მართვა მსოფლიოში	28
2.1. გლობალიზაცია, როგორც ფინანსური რისკების ზრდის ფაქტორი	28
2.2. მსოფლიოში არსებული ფინანსური რისკების სახეები	33
თავი 3. საქართველოში რისკების მართვა, ეროვნული ბანკის მიერ	40
3.1. საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები	40
3.2. რისკების შეფასების პროცესი	45
3.3. იპოთეკური სესხის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასება	56
დასკვნა	58
გამოყენებული ლიტერატურა ბიბლიოგრაფიული ნუსხა	61

შესავალი

თემის აქტუალობა. დღევანდელ არაპროგნოზირებულ გარემოში, ფინანსური რისკების მართვა მაღალი დინამიკურობით ხასიათდება. ნებისმიერი ბიზნეს-ორგანიზაციის მიზანია მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი მინიმალური კაპიტალის დანახარჯით. საქმიანობა, რომელიც სხვადასხვა სფეროში ხორციელდება და დაკავშირებულია სხვადასხვა ბიზნეს ოპერაციებთან, არის გარკვეული სახის რისკების და მასთან დაკავშირებული დანაკარგების საფრთხის შემცველი. სწორედ ასეთი სახის დანაკარგებთანაა დაკავშირებული ფინანსური რისკები. ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე გლობალურ(მსოფლიო) პირობებში, როდესაც ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორები, საქონლის და მომსახურების, ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობა იზრდება. საქართველოში საფინანსო სექტორის სტაბილურობის ხელშემწყობი ორგანოა ეროვნული ბანკი, რომელიც ხელს უწყობს საფინანსო სექტორის სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას. კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, რისკების კონტროლს და პოტენციური რისკების შემცირებას.

თანამედროვე საფინანსო პირობებში შეუძლებელია გვერდი აუარო დანაკარგს. ბიზნეს-ორგანიზაციების საქმიანობა მუდმივ კავშირშია ფინანსურ რისკებთან. არასტაბილურობის პირობებში კი რისკები სულ უფრო მეტად იზრდება, განსაკუთრებით დიდი ისინი კრიზისების პერიოდში, აქედან გამომდინარე ერთ-ერთ ძირითად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საფინანსო ბაზარზე სწრაფად და ხარისხიანად მიღებული კრიზისული სიტუაციებისა, მასთან დაკავშირებული რისკების წინასწარ განჭვრეტა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება.

მსოფლიოში, გლობალურ პირობებში ახალი სახის ფინანსური ინსტრუმენტების წარმოშობა და მათი მიმოქცევა ფინანსურ ბაზრებზე, ფინანსური

ბაზრის მონაწილეების მხრიდან მათი აქტიური გამოყენება წარმოადგენს დამატებით გამონვევას ფინანსური რისკების სისტემური მართვის თვალსაზრისით. გლობალური ფინანსური კაპიტალის მოძრაობის პირობებში, არსებული ფინანსური სიტუაციის ანალიზის და რისკის შესახებ სწორი გადაწყვეტილებების მიღება მეტად მნიშვნელოვანი ხდება. შესაძლო დანაკარგების და ზარალის შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება დაზღვევის სხვადასხვა მეთოდები. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ფინანსურ რისკებში მოიაზრება არა მხოლოდ ის რისკები, რომელსაც ფინანსური ხასიათი გააჩნიათ, არამედ რისკები, რომლებიც კომპანიის ფინანსური შუამავლების საქმიანობაში წარმოიქმნება.

ვინაიდან ფინანსური სექტორის უდიდეს ნაწილს საბანკო სექტორი წარმოადგენს, საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს კომერციული ბანკების ფინანსურ სტაბილურობას, ფინანსური რისკების შოკების შთანთქმის შესაზღვებლობას, რისკების ზუსტ შეფასებას და ეფექტიან მართვას.

კვლევის მიზნები და ამოცანები: კვლევის მიზანი და ამოცანაა ფინანსური რისკების მართვის ანალიზი. მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში . კვლევის მიზანია, შევიტყოთ საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიდგომების შესახებ, რომელიც ხელის შემწყობი ფაქტორია მათი სტაბილურობის რეგულირებისთვის.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში შემდეგი ამოცანებია დასახული: ფინანსური რისკების ადგილის და როლის განსაზღვრა; მსოფლიოში გლობალიზაციის პირობებში სხვადასხვა სახის რისკებს შორის კავშირურთიერთობის გამოვლენა; ფინანსური რისკების მართვის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და შეფასება, საფინანსო დაწესებულებებში რისკების მართვის მეთოდების და ტექნიკის გამოყენება; ფინანსური რისკების მართვის თავისებურებანი საქართველოში, ანალიზი და შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის მიმართულებების განსაზღვრა და სხვა.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანს წარმოადგენს ფინანსური რისკების მართვის თავისებურებანი მსოფლიოსა და საქართველოს მაგალითზე. კვლევის ობიექტს კი ის სუბიექტები წარმოადგენენ, რომელთა საქმიანობა მაღალი ხარისხით არის დაკავშირებული ფინანსურ რისკებთან.

კვლევის გამოყენებული მეთოდები: სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას ჩემ მიერ გამოყენებული იქნა როგორც უცხოური, ასევე ქართველ მეცნიერთა ნაშრომები. ასევე გამოვიყენე ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო სემინარების მასალები და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა : მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობა და ფინანსური მაჩვენებელი მეტად მართვადი და სტაბილური იქნება.

კვლევის სიახლეები : სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას დასმული და გადაჭრილი იქნა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიოში ფინანსური რისკების მართვის თავისებურებებზე.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი, წინა კვლევებისგან განსხვავდება იმით რომ შესწავლილი იქნა როგორც ზოგადად ფინანსური რისკები სახეობები, თავისებურებები, მართვის მეთოდები ასევე განხილული იქნა მსოფლიოში ქვეყნებს შორის არსებული რისკების გადაჭრის გზები, და საქართველოში მართვის სტრატეგიები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსი: სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, ჩემს მიერ გამოყენებული იქნა : სხვადასხვა სახის პუბლიკაციები როგორც ქართულ ასევე უცხოურ ენაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები და სტატიები.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 60 გვერდისგან. ის მოიცავს შესავალს, სამ თავს, რვა ქვეთავს, დასკვნას და ბიბლიოგრაფიას.

თავი 1 . რისკი და მისი რაოდენობრივი შეფასება

1.1. ცნება „რისკის“ განმარტება

სამყაროში უამრავი რისკის. ზოგიერთი მათგანი ცალკეულ ადამიანებზე ახდენს გავლენას, ზოგი რისკი მთელს საზოგადოებას უქმნის საფრთხეს, ზოგიერთი სპეციფიკური რისკი მხოლოდ გარკვეულ სფეროს თუ საქმიანობაზე ახდენს გავლენას. რისკის განპირობებული ზარალის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისგან დაცვას, მისი შედეგების თავიდან აცილებას. შესაძლებელია, რომ რისკი - ყველაზე მეტადაა საიდუმლოებით მოცული დღემდე ცნობილ კატეგორიებს შორის.

პირველი იმიტომ, რომ კაცობრიობამ მისი არსებობის შესახებ დიდი ხანია რაც შეიტო. მიუხედავად იმისა, რომ რისკს მიიჩნევენ ისტორიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ კატეგორიად, ამავდროულად დღემდე არ არსებობს რისკის საერთაშორისო აღიარებული თეორია.

მეორე, ის რომ რისკი არსებობს ეს ყველამ იცის, მაგრამ ცოტა თუ ერკვევა მის არსში. რისკ-მენეჯმენტის სპეციალისტების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ნებისმიერი რისკის მართვა შესაძლებელია, ე.ი. გამოვიყენოთ სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გარკვეულად მოვახდინოთ სარისკო ხდომილების დადგომის პროგნოზირება და ვიხმართ მისი ხარისხის დაწვეის საშუალებები. მაგრამ არასასურველი ხდომილების დადგომის პროგნოზირებას და მისგან თავის არიდების ორგანიზებას არასასურველი შედეგის დადგომის ალბათობის დაწვეის ხარჯზე ყველა შემთხვევისათვის ვერ ვუნოდებთ რისკის სრულფასოვან მართვას. არ შეიძლება არ გაეწიოს ანგარიში იმას, რომ თვითონ რისკებს ქმნის ხდომილობის პროგნოზირების გარეშე სისტემა, რომელიც მისი გავლენის სფეროში არ მდებარეობს და მას არ ექვემდებარება და რომელიც აძლიერებს ან ასუსტებს სხვადასხვა ფაქტორების გავლენას. ამის მიუხედავად რისკების პროგნოზირება და მისი დაწვეა - სამეცნიერო და პრაქტიკული

მოღვაწეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი სფეროა, და თუ მას არ ექნება რისკების მართვის არსებულ ყველა ძირითად ფუნქციის აბსოლუტურ და სრულფასოვან მართვაზე პრეტენზია, შესაძლებელია ის პრაქტიკული მიზნით მიღებული იქნას როგორც რისკ-მენეჯმენტი.

მესამე, უმეტესობა სპეციალისტებისა არ უღრმავდება ამ კატეგორიას. ისინი ცდილობენ გვერდი აუარონ მას, ან სხვას გადააბარონ.

მეოთხე, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე მეცნიერებს შორისაც არსებობს მოსაზრება, რომ ურისკო გადაწყვეტილებები და პროექტებიც კი არსებობენ. შეიძლება სხვა არგუმენტების მოძებნაც, თუმცა ეს ოთხივე საკმარისია, რომ შევეცადოთ გავერკვიოთ ამ საიდუმლოებით მოცულ კატეგორიაში მისი პრაქტიკული შესაძლებლობების კვლევის და ანალიზის კუთხით.

შევეცადოთ განვსაზღვროთ ცნება „რისკის“ არსი. რას გულისხმობენ სპეციალისტები ამ ცნების ქვეშ?

საემცნიერო ლიტერატურაში რისკის სხვადასხვა განსაზღვრებას, იძლევიან ავტორები კონკრეტულ საქმიანობასთან მიმართებაში. ჩვენთვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენს განსაზღვრება, რომელიც ეხება, ბიზნესის სფეროს რისკს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

პიტერ ბერსტაინი თავის ნაშრომში, რომელიც ეძღვნება ბიზნესში რისკის საკითხს, აღნიშნავს, რომ სიტყვა „რისკი“ წარმოიშვა ძველი იტალიური სიტყვა რისიცარე-სგან, რაც ნიშნავს „გაუბედეს“, და ასკვნის, რომ „ამ აზრით რისკი - ეს უფრო არჩევანია ვიდრე შემთხვევითობა“. ქმედება რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენს ხელთ არსებული არჩევანის თავისუფლებაზე დაყრდნობით, - აი რა არის რისკი სინამდვილეში.

სპეციალურად ბიზნესში რისკებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში მითითებულია, რომ „რისკის“ ქვეშ უნდა მოვიაზროთ საწარმოს მიერ საკუთარი რესურსების დაკარგვის, შემოსავლების სრულად მიუღებლობის და დამატებითი

ხარჯების განწევის შესაძლებლობა (საშიშროება) განსაზღვრული საწარმოო და ფინანსური საქმიანობის პროცესში.

ი. ბალახანოვი თავის წიგნში ფინანსების მართვის სესახებ შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობს: „რისკის ქვეშ იგულისხმება დანაკარგის საშიშროება, რომელიც გამომდინარეობს ბუნებრივი მოვლენებისა და საზოგადოების საქმიანობის ამა თუ იმ სპეციფიკიდან. რისკი - ეკონომიკური და ისტორიული კატეგორიაა“ [Балабнов И.Т. Риск-менеджмент.М.1996,-С.21.]

საპროექტო დაკრედიტებაზე მიძღვნილ ნაშრომში რისკის ქვეშ მოარებულია ეკონომიკურ პროცესებზე განსაზღვრული ფაქტორების მოულოდნელი ზემოქმედების ალბათობა,რომელთა გავლენითაც შესაძლებელია მოხდეს სედეგის გადახრა დაგეგმილი სიდიდიდან.ასევე მოყვანილია საპროექტო რისკების კონკრეტული განმარტება : პროექტური რისკები - ეს იმ რისკების ერთობლიობაა ,რომლებიც ემუქრება პროექტის ეკონომიკურ ეფექტურობას ,რომელიც გამოიხატება ფულადი სახსრების ნაკადზე ნეგატიური გავლენით. [Шенаев В.Н. Ирниязов Г. С. проектное кредитование .М.1996,С. 44]

თუ შევადარებთ ზემოთ მოყვანილ რისკის განმარტებებს ,ნათელი ხდება ,რომ ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა,თუმბა ზოგიერთი საერთო ელემენტის არსებობა შეინიშნება.ავტორები განმარტების დროს განსაზღვრავენ არა იმას თუ რა არის ზოგადად რისკი,არამედ კონკრეტული სფეროსთვის რას წარმოადგენს ის. დავსვათ საკითხი კონკრეტულად : რა არის რისკი ? იმისათვის ,რომ საკმაოდ მკაცრად განვსაზღვროთ ცნება,აუცილებელია მასში შემავალი ძირითადი ტერმინების გაანალიზება.ავილოთ განსაზღვრებაში გამოყენებული ძირითადი ტერმინები „ალბათობა“, „შესაძლებლობა“, „საშიშროება“ და „შესაძლო საშიშროება“. თითოეული ტერმინი მიუთითებს რაღაცის მოხდენას. რა შეიძლება მოხდეს?

განმარტებაში მითითებულია რა შეიძლება მოხდეს.ესენია „დანაკარგი“, „წაგება“, „ახალი ხარჯების წარმოქმნა“,შედგის დაგვეგმილიდან გადახრა“. არის საელტო ცნება რაც ყველა ამ მოვლენას აერთიანებს?

დიახ,ასეთი ცნება არსებობს და ეს არის ალბათობის თეორიის ძირითადი ცნება – ხლომილობა. პრაქტიკულად ეს არის პირველი ცნება ,რის განმარტების შემდეგაც ალბათობის თეორიაში თანდათან ხდება სხვა ცნებების განმარტებაც. „ხლომილობის“ ქვეშ ალბათობის თეორიაში იგულისხმება ნებისმიერი ფაქტი,რომლის ცდის სედეგადაც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს. „ხლომილობის ცნება ძირითადია ოპერაციების კვლევაში .ეს ძირითადი ცნებაა დაგვეგმვის და მართვის ქსეური სისტემების შექმნის დროს,მსხვილი პროექტების მართვის შემთხვევაში და ა.შ.

ზარალის და დანაკარგის მიღება,შემოსავლის დაკარგვა და დამატებითი ხარჯების წარმოშობა,ისევე როგორც სედეგის დაგვეგმილიდან გადახრა, - ყველა ეს ის ხლომილობაა ,რომელიც შეიძლება მოხდეს და ზოგჯერ მართლაც ხდება. თუმცა ყველა ხლომილობა არასასურველი და საშიშროების შემცველია? თუ ვინმე კაზინოში მოიგებს ან მიიღებს დამატებით შემოსავალს ,რომელსაც არ ელოდა,ან თუ ვინმე შეძლებს დაგვეგმილზე ადრე წარმატებით დაასრულოს პროექტი - ეს ხლომილობებია თუ არა? დიახ, ეს ხლომილობებია. განა ეს ხლომილობები არ არის სასურველი ან ვინმეს ეჩვენება მათი მოხდენა საშიშად? რა თქმა უნდა არა.

ე.ი. რეალურ ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ხლომილობა,რომელთაგან ზოგს დადებითი ემოციები მოაქვს ,ზოგი კი საშიშროების მომტანია.ეს ნიშნავს რომ ყველა ხლომილობა საშიში არ არის.

ეხლა განვიხილოთ ტერმინი „შესაძლებლობა“ და „ალბათობა“, თუმცა მოცემული ცნებები ახლოსაა ერთმანეთთან,მათ შორის არსებობს განსხვავება. ის „ჭეშმარიტებს“ ცნების გამოიხატება. შესაძლებლობის წარმოქმნა ნიშნავს ხლომილობის მოხდენის ჭეშმარიტი პირობის წარმოქმნას.მაგრამ არ ნიშნავს იმას,რომ ხლომილობა მოხდება.შესაძლოა ახასიათებს თვისობრივ გადასვლას

ხდომილობის ახდენის პირობის გაჩენისაკენ . ხდომილობის ალბათობა - არის ამ ხდომილობის შესაძლებლობის ობიექტურობის ხარისხის რაოდენობრივი ზომა. აქედან გამომდინარე, ჯერ ჩნდება ხდომილობის მოხდენის შესაძლებლობა ,ხოლო შემდეგ გამომდინარეობს მისი მოხდენის ალბათობა,თუმცა რეალურ ცხოვრებაში ეს შეიძლება ერთდროულად მოხდეს. ის რომ ხდომილობის მოხდენის შესაძლებლობა ,როგორც წესი ,წინ უსწრებს მისი მოხდენის ალბათობის შეფასებას.

და ბოლოს ,იმისათვის რომ გაჩნდეს განხილულ სისტემაში ახალი შესაძლებლობა ,რალაც უნდ აშიცვალოს.ეს ცვლილება ხდება კონკრეტული ფაქტორების ზემოქმედებით.ზემოთ განხილული გვაძლევს საშუალებას უფრო ზოგადად განვსაზღვროთ „რისკის“ ცნება.

რისკი _ ეს არის ხდომილობის დადგომის შესაძლებლობა რაიმე ფაქტორების გავლენით.

საბაზისო განმარტებას აქვს ორი ღირსება ,რომელიც მას პერსპექტიულს ხდის საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის დროს რისკების მართვის განვითარების დროს.

პირველი - მოღვაწეობის რაიმე სფეროს გავლენისაგან თავისუფალი რისკების მოცემული განმარტება საკმაოდ მკაფიოა და ყველა შემთხვევისთვის არ არის ურთიერთგამომრიცხავი,არ საჭიროებს სპეციალურ კომენტარებს.ასევე მოკლებულია სუბიექტურ ემოციებს,როგორიცაა მოსალოდნელი საშიშროება და წარუმატებლობის განცდა.

მეორე - ამ ცნების გაანალიზებისას მეტად რწმუნდები,რომ რისკების მართვა უფრო მეცნიერებაა ვიდრე ხელოვნება.ამიტომ რისკის შესწავლისას თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგია გამოიყენება. პრაქტიკულად ეს გვაძლევს რისკების სისტემის გამოკვლევის რეალურ შანსებს,გამოვავლინოთ მათი დინამიკა და კანონზომიერება,გავაანალიზოთ მოქმედი ფაქტორები რისკების

შემცირების გზები ვეძებოთ, როგორც ინვესტორებისათვის, ისე პროექტის რეალიზაციის სხვა მონაწილეთათვის.

ამდენად არსებობს საფუძველი შემდეგი პრაქტიკული დასკვნისთვის : რისკისგან გაქცევა ან მისგან თავის დაღწევა სრულად უაზრობაა. ეს არის თავის დაღწევა არამართო არასასურველი ხდომილების მოხდენისგან, არამედ სასურველისგანაც. ამ მიზნით ანდაზა „ვინც არ რისკავს - ის ვერ სვამს შამპანიურს ! „ სწორია .

ამიტომ ნებისმერი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია ანალიზი, შეფასება, გაანგარიშება და საჭიროების შემთხვევაში, რისკის დაწევა. საინვესტიციო პროექტის რეალიზაციისას, როდესაც პერსპექტივაში მოსალოდნელ ხდომილობად ითვლება კონკრეტული დასახული მიზნის მიღწევა, პროექტის მონაწილეთათვის და ინვესტორისათვის მნიშვნელოვანია აკნტროლოს მუდმივად სიტუაცია, მისნის მისაღები რისკების ზონიდან გამოუსვლელად. ეს იძლევა საფუძველს მნიშვნელოვანი მიმართულების სახით საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის დროს რისკის მართვის ძალისხმევად მივიჩნიოთ - შემუშავების ხარისხის ამაღლება და გადაწყვეტილების მიღება ყველა სტადიაზე და ეტაპზე, ამასთან სწორედ მოღვაწეობს ამ სფეროში ობიექტურად არსებული რისკების სისტემის გათვალისწინებით.

1.2. ფინანსური რისკების კლასიფიკაცია და შეფასების მეთოდები

დღევანდელ არაპროგნოზირებულ ეკონომიკურ გარემოში თანამედროვე საფინანსო ბაზრის სისტემა ხასიათდება მაღალი დინამიკურობით, მზარდი კონკურენციით, მომხმარებელზე ორიენტაციით და პროცესების გლობალიზაციით. რეალურ სამყაროში, რისკი ყველგან არის. ბიზნეს-ორგანიზაციების საქმიანობა მუდმივ კავშირშია რისკებთან.

ფინანსური რისკები: რისკი - ეს არის წარმოშობილი დანაკარგი, ზარალი ალბათობა გეგმიური შემოსავლის, მოგების მიუღწევლობა . რისკი როგორც არასასურველი ზემონმედება რენტაბელობაზე, რამდენიმე სხვადასხვა წყაროების გაურკვევლობით. რისკების ხარისხიანი მართვისთვის ეფექტურია განისაზღვროს რისკი და მიღი კლასიფიკაცია. რისკის ზუსტი შეფასება მოითხოვს გაურკვეველი წყაროს აღმოჩენას და განსაზღვრას მისი ნეგატიური პოტენციალის ზეგავლენას მოგებაზე. ფინანსური რისკი წარმოიქმნება სანარმოსა და საფინანსო ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების პროცესში (ბანკები, ინვესციები, სადაზღვეო კომპანიები, ბირჟები და ა.შ.). ფინანსური რისკის მიზგებია ინფლაციური ფაქტორები, საბანკო პროცენტის ზრდა, ფასიანი ქარალდების ღირებულების შემცირება და სხვა.

საფინანსო საქმიანობაში არსებული დანაკარგი შეიძლება დაიყოს მატერიალურ, შრომითი და ფინანსურ რისკებად.

ფინანსურ რისკებს მიეკუთვნება:

- საკრედიტო რისკი,
- გადახდისუნარიანობის რისკი,
- საინვესტიციო რისკი,
- ინფლაციის რისკი,
- პროცენტული რისკი,
- სავალუტო რისკი, სადეპოზიტო რისკი,
- საგადასახადო რისკი,
- ინოვაციური ფინანსური რისკი,
- კრიმინოგენული რისკი,
- ფინანსური მდგრადობის დაწვეის რისკი და სხვა.

მაგალითად, სანარმოს ფინანსური მდგრადობის რისკის შემცირება დაკავშირებულია კაპიტალის სტრუქტურის არასრულყოფასთან და საშიშროების დონით, რისკის მოცემულ სახეობას წამყვანი როლი უჭირავს, რადგან სანარმოს გაკოტრების საშიშროება იქმნება.

საწარმოს ფულადი ნაკადის დადებითისა და უარყოფითის უბალანსობას დროში. თავისი ფუნანსური შედეგებით რისკის აღნიშნული სახეობა მიეკუთვნება საშიშთა რიცხვს.

ინვესტიციური რისკისთვის დამახასიათებელია ფინანსური დანაკარგის წარმოშობის შესაძლებლობა საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

ინფლაციური რისკი ხასიათდება კაპიტალის ღირებულების რეალური გაუფასურების შესაძლებლობით, აგრეთვე შემოსავლის მოლოდინით ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას ინფლაციის პირობებში.

საპროცენტო რისკი მდგომარეობს საპროცენტო განაკვეთის უწყვეტ ცვლილებაში ფინანსურ ბაზარზე. მოცემული რისკის წარმოშობის მიზეზებია : ფინანსური ბაზრის კონიუქტურის ცვლილება სახელმწიფო რეგულირების ზეგავლენით, თავისუფალი ფულადი რესურსების მიწოდების ზრდა ან კლება.

სავალუტო რისკი იმ საწარმოთათვის არის დამახასიათებელი ,რომლებიც საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან. იგი ვლინდება მაშინ როდესაც ვერ იღებ გათვალისწინებულ შემოსავალს, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის უშუალო ზემონმედების შედეგად, რომელიც გამოიყენება საწარმოს საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებში, ამ ოპერაციებისაგან მოსალოდნელი ფულადი ნაკადის შემთხვევაში.

სადეპოზიტო რისკი ასახავს სადეპოზიტო ანაბრების არდაბრუნების შესაძლებლობას. იგი დამოკიდებული არის კომერციული ბანკის წარუმატებელ არჩევანსა და არასწორ შეფასებასთან საწარმოს დადეპოზიტო ოპერაციების განხორციელებისას.

საკრედიტო რისკს ადგილი აქვს საწარმოს ფინანსურ საქმიანობაში, მის მიერ მყიდველებისათვის საქონლის ან სამომხმარებლო კრედიტის შეთავაზების შემთხვევაში. მისი გამოვლენის ფორმა არის გადაუხდელობის რისკი ან

არადროული ანგარშნორება, სანარმოს მიერ კრედიტით გაცემული მზა პროდუქციისთვის.

საგადასახადო რისკს აქვს რიგი გამოვლინებები : ახალი ტიპის გადასახადებისა და მოსაკრებლის შემოტანის ალბათობასამეურნეო საქმიანობის ცალკეული ასპექტების განხორციელებისას; მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლის ცალკეულ სახეობებზე განაკვეთის ზრდის შესაძლებლობა; ცალკეული სახის გადახდების განხორციელებისას ვადებისა და პირობების ცვლილებები; მოქმედი საშელავათო გადასახადების გაუქმების ალბათობა სანარმოს სამეურნეო საქმიანობის სფეროში.

ინოვაციური ფინანსური რისკები დაკავშირებულია ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვასთან.

კრიმინოგენული რისკები ვლინდება პარტნიორების მიერ ფაქტური გაკოტრების აღიარებისას ; საბუთების გაყალბებისას, რომელიც მხარეთა პირთა მიერ უკანონო ფულად მითვისებას უზრუნველყოფს.

რისკების შეფასების მეთოდები. შეგვიძლია გამოვყოთ რისკების ანალიზის ორი სახეობა :

- რაოდენობრივი
- ხარისხობრივი.

ხარისხობრივი ანალიზი გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ რისკის პოტენციური მხარე და ფაქტორები,გამოვავლინოთ მისი შესაძლო სახეობები.რისკის ხარისხობრივი ანალიზის ამოცანაა ,რისკის იმ წყაროსა და მიზეზების,სამუშაოებისა და ეტაპების გამოვლენა,რომლის დროსაც წარმოიშობა რისკი.რისკის ხარისხობრივი ანალიზის ჯამური შედეგები ,შესაბამისად წარმოადგენს ამომავალ ინფორმაციას რაოდენობრივი ანალიზის ჩასატარებლად.

რისკის რაოდენობრივი ანალიზის ეტაპზე გამოითვლება რისკის შემთხვევის დადგომის ალბათობის რიცხვითი მნიშვნელობები და მისგან გამომწვეული

ზარალისა და მოგების მოცულობები .რაოდენობრივი ნაღებები იმისკენ არის მიმართული, რომ რისკები გამოვლინდეს რაოდენობრივად და მოხდეს მათუ შედარება და ანალიზი.

ფინანსური რისკის კატეგორიის ძირითადი მახასიათებლები მანიფესტაციის ობიექტურობა - ფინანსური რისკი არის ობიექტური მოვლენა ნებისმიერი საწარმოს ფუნქციონირებაში. იგი თან ახლავს ყველა სახის ფინანსურ საქმიანობას, თუმცა არაერთი პარამეტრია დამოკიდებული სუბიექტური მართვის გადაწყვეტილებაზე,მისი ობიექტური ბუნება უცვლელი რჩება.

განხორციელების ალბათობა - რისკის შემთხვევა შეიძლება მოხდეს ან არ შეიძლება მოხდეს. ამ ალბათობის ხარისხი განისაზღვრება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მოქმედებით, თუმცა, ფინანსური რისკის ალბათობის ბუნება მისი მუდმივი მახასიათებელია.

შედეგის გაურკვევლობა - ფინანსური გარიგების ეფექტურობის მოსალოდნელი დონე შეიძლება განსხვავდებოდეს რისკის ტიპისა და დონის მიხედვით.აქ ფინანსურ რისკს შეიძლება თან ახლდეს საწარმოსთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი და დამატებითი შემოსავლის ფორმირება.

არასასურველი შედეგები - ეს რისკი ფასდება შესაძლო უარყოფითი შედეგების დონის მიხედვით,ეს განპირობებულია იმით , რომ ფინანსური რისკის რიგი უკიდურესად უარყოფითი შედეგები განსაზღვრავს არა მხოლოდ შემოსავლის,არამედ საწარმოს კაპიტალის ზარალს,რას მას იწვევს გაკოტრებამდე.

დონის ცვალებადება - ფინანსური რისკის დონე, პირველ რიგში,მნიშვნელოვნად იცვლება დროთა განმავლობაში,რადგან დროის ფაქტორს აქვს დამოუკიდებელი გავლენა ფინანსური რისკების დონეზე.

1.3. ფინანსური რისკების მართვა

რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაძღვრას, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ ღონებზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით. ფინანსური სისტემის დიდი ნაწილი მიმართულია რისკების მართვაზე. რისკების შეფასების სიზუსტე განისაზღვრება მათი დინამიკის პროგნოზირების შესაძლებლობებით და ამ პროგნოზირების საფუძველში ჩადებული მოდელების ადეკვატურობით.

რისკის მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებად პროცესს, რომელშიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას იღებს დაწესებულების თითოეული თანამშრომელი. რისკის მართვა წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების შემუშავება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლოა გამოვლენილი იქნეს პოტენციური დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულებების საქმიანობაზე.

რისკის მართვა მოიცავს პრაქტიკულად ყველა რისკს, რომელიც ეხება დაწესებულების საქმიანობას წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

ხელმზღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო დაწესებულებაში შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტის მოვალეობაა არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასება და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

რისკის მართვა უნდა ატარებდეს პერმანენტულ ხასიათს და ხორციელდებოდეს დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

რისკის მართვა ეხმარება და აძლიერებს დანესებულებას, უზრუნველყოს საკუთარი ამოცანების ეფექტურად შესრულება, მათ შორის:

- დანესებულების ზოგადი მიმართულებების ჩამოყალიბებას, რომელიც საშუალებას იძლევა მომავალი საქმიანობა გამართული და კონტროლირებადი ფორმით წარიმართოს;
- რიგი პროცესების გაუმჯობესებას - რომელშიც შედის გადაწყვეტილების მიღება, დაგეგმვა და პრიორიტეტების მინიჭება;
- დანესებულებაში არსებული ქონებისა და რესურსების პროდუქტიული განაწილების და გამოყენების ხელშეწყობას;
- დანესებულების რეპუტაციისა და აქტივების დაცვას და გაძლიერებას;
- ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციონალური ცოდნის ბაზის განვითარებას და გაძლიერებას;
- ოპერაციების ოპტიმიზაციას და სხვა.

რისკის მართვის პროცესი არის კორდინირებული და თანმიმდევრული უწყვეტი ქმედების ერთობლიობა. მისი ცალკეული ნაწილები დამოკიდებულია დანესებულებების სპეციფიკაზე, მის მიზნებსა და სტრატეგიაზე, თუმცა რისკის მართვის ზოგადი სტრუქტურა ყველა საფინანსო დანესებულებაში ინდივიდუალურია.

საფინანსო ბაზრის რისკების პროგნოზირებას რთული საფინანსო კვლევა საჭიროებს. რისკ-ფაქტორების გამოვლენის და შეფასების პროცედურები ასასასურველი ხდომილების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. მათი ანალიზური დამუშავება მოიცავს რისკების შეფასების და რისკების შემცირების სხვადასხვა მეთოდებს.

ფინანსური რისკების მართვა ჩვენ გვესმის როგორც რისკების ანალიზზე სისტემური მუშაობა და შესაბამისი ზომების მიღება მისი მინიმუმაციისთვის. რისკების მართვის პროცესი 5 ეტაპად შეიძლება დაიყოს:

- 1) რისკის გამოვლენა
- 2) რისკების შეფასება
- 3) რისკის მართვის მიდგომების შერჩევა
- 4) შერჩეული მიდგომების რეალიზაცია
- 5) შედეგების შეფასება.

რისკ-მენეჯმენტი წარმოადგენს რისკის მართვის სისტემას, ეკონომიკური, ბუსტად კი, ფინანსური ურთიერთობებისა, რომლებიც წარმოიქმნება სწორედ ამ მართვის პროცესში. რისკ-მენეჯმენტი ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციებს. განასხვავებენ რისკ-მენეჯმენტის ორი ტიპის ფუნქციას:

- 1) მართვის ობიექტური ფუნქციები;
- 2) მართვის სუბიექტური ფუნქციები

მართვის ობიექტური ფუნქციები რომელსაც რისკ-მენეჯმენტში მიეკუთვნება : რისკის გადაწყვეტა; სარისკო კაპიტალის ჩადება; რისკის სიდიდის შემცირებასთან დაკავშირებული სამუშაოები; რისკების დაზღვევის პროცესი; ეკონომიკური ურთიერთობები და კავშირები სამეურნეო პროცესის სუბიექტებს შორის.

მართვის სუბიექტის ფუნქციები მენეჯმენტში მიეკუთვნება:

პროგნოზირება ზოგადად გარკვეული შემთხვევის წინსწარ განჭვრეტა. იგი რისკ-მენეჯმენტში წარმოადგენს ობიექტისა და მისი ცალკეული ნაწილების ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების პერსპექტივაში გადამუშავებას. პროგნოზირება გარკვეული შემთხვევის წინასწარ განჭვრეტა, ის არ ისახავს ამოცანად უშუალოდ პრაქტიკაში განახორციელოს დამუშავებული პროგნოზები. პროგნოზირების თავისებურება მდგომარეობს აგრეთვე ფინანსური მაჩვენებლებისა და პარამეტრების აგებულების ალტერნატიულობაში, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის მართვის ფინანსური მდგომარეობის განვითარების

სხვადასხვა ვარიანტებს დასახული ტენდენციების საფუძველზე. რისკის დინამიკაში პროგნოზირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც წარსულის მომავალში ექსტრაპოლაციის საფუძველზე ცვლილების ტენდენციის ექსპერტული შეფასების გათვალისწინებით, ეგრეთვე ცვლილებების პირდაპირი განჭვრეტის საფუძველზე. ეს ცვლილებები შესაძლოა წარმოიშვას მოულოდნელად. ამგვარი ცვლილებების განჭვრეტის საფუძველზე, მართვა მოითხოვს მენეჯერისაგან საბაზრო მექანიზმის გარკვეულ ალღოსა და ინტუიციის ქონას, ეგრეთვე მოქნილი საგანგებო გადაწყვეტილებების გამოყენებას.

ორგანიზაცია რისკ-მენეჯმენტში წარმოადგენს ადამიანთა გაერთიანებას, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ კაპიტალის სარისკო ჩადების პროგრამის გარკვეული წესებისა და პროცედურების საფუძველზე. ამ წესებსა და პროცედურებს მიეკუთვნება: მართვის ორგანოების შექმნა, მართვის აპარატის სტრუქტურის აგებულება, მართველობით ქვედანაყოფებთან ურთიერთკავშირის დამყარება, ნორმების, ნორმატივების, მეთოდის შექმნა და ა.შ.

რეგულირება რისკ-მენეჯმენტში წარმოადგენს მართვის ობიექტზე ზემოქმედებას, რომლის საშუალებითაც მიიღწევა ამ ობიექტს მდგრადობის მდგომარეობა მოცემული პარამეტრებიდან გადახრის შემთხვევაში. რეგულირება უმტავრესად მოიცავს წარმოქმნილი გადახრების აღმომფხვრელ მიმდინარე ღონისძიებებს.

კორდინაცია რისკ-მენეჯმენტში წარმოადგენს რისკის მართვის სისტემის ყველა რგოლის, მართვის აპარატისა და სპეციალისტების შეთანხმებულ მუშაობას. კორდინაცია უზრუნველყოფს მართვის ობიექტის მართვის სბიექტის, მართვის აპარატისა და ცალკეული მომუშავეის კავშირის ერთობლიობას.

სტიმულირება რისკ-მენეჯმენტში წარმოადგენს ფინანსური მენეჯერებისა და სხვა სპეციალისტების ინტერესის აღძვრის საკუთარი შრომის შედეგისადმი.

კონტროლი რისკ-მენეჯმენტში წარმოადგენს ორგანიზაციის მუშაობის შემოწმებას რისკის ხარისხის შემცირების კუთხით. კონტროლის საშუალებით გროვდება ინფორმაცია მოქმედების პროგრამის შესრულების დონეზე, სარისკო კაპიტალის ჩადების შემოსავლიანობაზე, რისკისა და მოგების თანაფარდობაზე, რომლის საფუძველზეც ცვლილებები შედის ფინანსურ პროგრამებში, ფინანსური სამუშაოს ორგანიზაციაში, რისკ-მენეჯმენტის ორგანიზაციაში. კონტროლი ვარაუდობს იმ ღონისძიებათა შედეგების ანალიზს, რაც რისკის ხარისხის შემცირებასთან არის დაკავშირებული.

რისკ-მენეჯმენტი (რისკების მართვის სისტემა). რისკის მართვა შესაძლებელია, ესე იგი სხვადასხვა ზომები უნდა იქნეს გამოყენებული, რომელიც აგრძელებს დონეზე საშუალებას იძლევა მოხდეს რისკის შემთხვევის დადგომის პროგნოზირება და მიღებული იქნეს ზომები მის შესამცირებლად.

რისკ-მენეჯმენტი წარმოადგენს რისკის მართვის სისტემას, ეკონომიკური, ზუსტად კი ფინანსური ურთიერთობებისა, რომლებიც წარმოიქმნება სწორედ ამ მართვის პროცესში და მოიცავს მმართველობითი მოქმედების სტრატეგიასა და ტაქტიკას

რისკ-მენეჯმენტი როგორც მართვის სისტემა შედგება ორი ქვესისტემისგან:

- 1) მმართველი ქვესისტემა - ქვესისტემა რომელიც იმართება (მართვის ობიექტი);
- 2) მმართველი (მართვის სუბიექტი)

მართვის ობიექტი არის სარისკო კაპიტალის ჩადენა და ეკონომიკური ურთიერთობები მეურნე სუბიექტებს შორის რისკის რეალიზაციის პროცესში.

მართვის სუბიექტი - ხელმძღვანელთა ჯგუფი ,რომელიც მიზანმიმართულად ახორციელებს მართვის ობიექტის ფუნქციონირებას. მოცემული პროცესი ხორციელდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის მუდმივი ცირკულაციით მართვის სუბიექტსა და ობიექტს შორის.

რისკ-მენეჯმენტის ამგვარი დაყოფის შესაბამისად გამოყოფენ ორი ტიპის ფუნქციას:

- 1) მართვის ობიექტის ფუნქციები;
- 2) მართვის სუბიექტის ფუნქციები.

მართვის ობიექტის ფუნქციებს მიეკუთვნება :რისკის გადანყვეტის ორგანიზაცია, სარისკო კაპიტალის ჩადება,რისკის სიდიდის შემცირებასთან დაკავშირებული სამუშაოები ,რისკების დაზღვევის პროცესი,ეკონომიკური ურთიერთობები და კავშირები სამეურნეო პროცესის სუბიექტებს შორის.

მართვის სუბიექტის ფუნქციებს მიეკუთვნება: პროგნოზირება, ორგანიზაცია, რეგულირება, კოორდინაცია, სტიმულირება და კონტროლი.

რისკ-მენეჯმენტის ორგანიზაცია. როგორც მართვის სისტემა,რისკ-მენეჯმენტი მოიცავ რისკის მიზნის გამომუშავების პროცესს და სარისკო კაპიტალის ჩადებას,შემთხვევის დადგომის განსაზღვრულ ალბათობებს,რისკის ხარისხისა და სიდიდის გამოვლენა,გარემო ვითარების ანალიზი,რისკის მართვის სტრატეგიის შერჩევა, რისკის შემცირების საშუალების არჩევა, რისკზე ზეგავლენის განხორციელება.

რისკის პირობებში გადანყვეტილების მიღების ფქსიქოლოგიური ასპექტი საინვესტიციო გადანყვეტილების მიღების პროცესების განხილვის დროს სპეციალისტები,რომელიც მათი ოპტიმატიზაციით არის დაკავებული,როგორც წესი,გამოდის იქიდან,რომ ინვესტორები იღებენ რეალურად არსებული სიტუაციის შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ადეკვატურ გადანყვეტილებებს.ეს იმას ნიშნავს რომ მათი ქცევა რაციონალურად ივარაუდება. რეალურად ეს ასე არ არის. ინვესტორები და კომპანიის ხელმძღვანელები არცთუ იშვიათად არარაციონალურ გადანყვეტილებებს იღებენ.უფრო მეტიც,არსებობს სიტუაციები,რომლის დროსაც ადამიანთა და მათ შორის ინვესტორთა უმეტესობა იღებს სალი აზრის საწინააღმდეგო გადანყვეტილებებს. ასეთი ქმედებების ახსნა

იმალება საინვესტიციო გადანაცვებების მიღების ფსიქოლოგიური ასპექტის შესწავლაში.

ჯერ კიდევ XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დასაწყისში მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ნებისმიერი გადანაცვებების მიღებას, რომელიც რისკს შეიცავს აქვს ორი სხვადასხვა თუმცა განუყოფელი ასპექტი: ობიექტური ფაქტები და სუბიექტური წარმოდგენები მოგების ან წაგების ნდობის მიმართ. ამასთან დაკვირვების ობიექტური შედეგებიც და სუბიექტური პოზიციებიც ერთდროულად მნიშვნელოვანია და ერთმანეთისგან გაცალკევებით არასრულფასოვანია.

რისკის ერთიდაიმავე მნიშვნელობის სხვადასხვა შეფასება. შერჩეულია ,რომ რისკის შეფასება აღემატება მის ზომას.ეს კარგია. თუ ყველა რისკს ერთნაირად შეაფასებდა, მაშინ ბევრი ხელსაყრელი შესაძლებლობა ხელიდან იქნებოდა გაშვებული.აზარტული ადამიანები ხომ ამჯობინებენ დიდ და ნაკლებ მოსალოდნელ მოგებას უფრო მოსალოდნელ მაგრამ მცირეს.სხვებს ნაკლებად მოსწონთ მოგების ალბათობა , მათ ოცნებას წარმოადგენს იმის შენარჩუნება ,რაც მათ აქვს.რისკისადმი მიდრეკილების მქონდე ადამიანების გარეშე კაცობრიობა ვერ შეძლებდა ბევრი რამის მიღწევას.ძნელი წარმოსადგენია, რა იქნებოდა, თუ არავის მოუნდებოდა დაერისკა და ჩაედო თავისი ფული ახალ პროექტში. ამდენად შეიძლება ითქვას, გაგვიმართლა ,რომ ადამიანები სხვადასხვანაირად ეკიდებიან რისკს. წარსულში გამოჩენილმა მათემატიკოსმა დანიელ ბერნული ჯერ კიდევ 1738 წელს გამოთქვა თავისი თეზისი იმის შესახებ, რომ ადამიანები რისკის ერთიდაიმავე მნიშვნელობას სხვადასხვანაირად აფასებენ. ალბათ ამან უბიძგა მას კარდინალურ იდეამდე: *„სიმდიდრის მცირეგაზრდის სარგებელი უკუპროპორციულია უკვე არსებული სიმდიდრის ზომის“.*

ბერნულმა ბრწყინვალედ ჩამოაყალიბა აზრი იმის შესახებ,რომ მოსალოდნელი მნიშვნელობის შესახებ ცალსახა პასუხის გამცემ ფაქტებისაგან განსხვავებით,ამ პროცესების სუბიექტუს შეფასებას მივყავართ იმდენ პასუხამდე

რამდენი ადამიანიც მონაწილეობს მასში. თუმცა ესეც არ არის სრულად; მან შეიმუშავა მიდგომის მეთოდოლოგია იმის განსაზღვრისათვის თუ რამდენად ძლიერად და მეტი ან ნაკლები იმათგან თითოეულს ვინც იღებს გადაწყვეტილებას: ნდობის მოცულობა და ხარისხი უკუპროპორციულია იმ რაოდენობის რომელიც უკვე არის.

პირველად ისტორიაში ბერნულმა მოარგო ზომა იმას რისი დათვლაც შეუძლებელია. მან დააკავშირა ერთანეთს ინტუიცია და განზომილება. თუ ალბათობის თეორია განახორციელებს არჩევანს „ბერნული განსაზღვრავს იმ პიროვნების მოტივაციას, რომელიც ირჩევს. პაქტობრივად მან მიუთითა შესწავლის ახალ საგანზე და დააფუძნა ინტელექტუალური საფუძვლები იმისა, რამაც გამოყენება ჰქონდა არა მარტო ეკონომიკურ თეორიებში, არამედ გადაწყვეტილებათა მიღების საერთო თეორიებში.

რისკისადმი დამოკიდებულების შეცვლა. რისკის ცვლილება განსაკუთრებით რთულდება, თუ პარამეტრები არასტაბილურია და ცვალებადი. თვითონ ცვლილებაც არ დგას ერთ ადგილას.

ცოტაა ვისაც თავისი ცხოვრების მანძილზე არ ჰქონია რისკთან შეხება. ადამიანები იზრდებიან, ბრენდებიან, ხდებიან უფრო მდიდრები ან ღარიბები, და მათი გაგება რისკის შესახებ და მისაღებლობის ხარისხი იცვლება ამათუ იმ მიმართულებით. ასევე იცვლება რისკთან დამოკიდებულება ინვესტორებისათვისაც, რაც იწვევს მათი დამოკიდებულების მნიშვნელოვან ცვლილებას აქციებისაგან და გრძელვადიანი ობლიგაციებიდან მომავალ შემოსავალზე.

ასეთ შესაძლებლობებზე მახვილგონივრული მიდგომა იყო შემოთავაზებული გარი მარკოვიცის თანამედროვის, კოლეგის, ასევე ნობელის პრემიის ლაურიატის, ულიამ შარპის მიერ. 1990 წელს შარპმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც გაანალიზებულია დამოკიდებულება სიმდიდრის ცვლილებასა ინვესორის სურვილს შორის, ფლობდეს რისკის შემცველ ფასიან ქალაქებს.

მიუხედავად გვარცვლელად აზრისა (ბერნულე და სხვები) მდიდრებს რისკისადმი დამოკიდებულების შეცვლის უნარი მეტი უნდა ჰქონდეთ, ვიდრე სხვებს, შარპმა გამოთქვა ჰიპოთეზა, რომ სიმდიდრის შეცვლა ასევე იწვევს რისკისადმი დამოკიდებულების შეცვლას. სიმდიდრის ზრდა ამაღლებს ადამიანების უნარს დანაკარგის გადატანისა, ხოლო დანაკარგები ასეთ უნარს აქვეითებს. აქედან გამომდინარე სიმდიდრის გაზრდას მოყვება რისკისადმი მადის გაღვივება, ხოლო დანაკარგები აქვეითებს მას. შარპი ვარაუდობდა, რომ რისკებთან დამოკიდებულებაში ასეთი ცვლილებებით აიხსნებოდა, თუ რატომ აღწევნ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ფასების მომატება ან დაკლება უკიდურეს ზღვარს, მაგრამ საშუალოზე შეჯერების მექანიზმი საქმეში რთვება მხოლოდ, მაშინ როცა, კონტრეპუეტული ინვესტორები ამჩნევენ, როგორ ძალიან შეტოპეს და იწყებენ დაგროვილი მცდარი შეფასებების გასწორებას.

ფინანსური რისკების მართვისას უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მათი იდენტიფიცირება. რისკის იდენტიფიკაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება რისკის მოძიება და დეტალური აღწერა. მნიშვნელოვანია, რომ იდენტიფიკაცია იყოს კარგად ჩამოყალიბებული და მაქსიმალურად ყველა რისკის მომცველი უწყვეტი პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაიდენტიფიცირებული ანუ გამორჩენილი რისკი ვეღარ დაეჭვებდებარება რისკის მართვის პროცესს და შესაძლებელია, უარყოფითად იმოქმედოს დაწესებულების მიზნების მიღწევაზე. თითოეულმა დაწესებულებამ უნდა მოახდინოს თავისი სპეციფიკისა და მიზნებიდან გამომდინარე რისკების დაყოფა კატეგორიებად, საიდანაც მკვეთრად გამოჩნდება რისკის წარმოშობის წყარო.

რისკის იდენტიფიკაცია გულისხმობს ზემოქმედების შედეგების განსაზღვრას, რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

იდენტიფიკაციის შემდეგ მნიშვნელოვანია მისი ანალიზი, რომელიც ხორციელდება იდენტიფიცირებული რისკების შესწავლის მიხედვით, რათა

განისაზღვროს თუ როგორ უნდა იმართონ ისინი. საწყის ეტაპზე ხორციელდება წინასწარი ანალიზი, რომელიც გულისხმობს მსგავსი რისკების დაჯგუფებას და დაბალი გავლენის მქონდე რისკების გამორიცხვას. შემდეგი ეტაპია რისკის დონის განსაზღვრა მისი მასშტაბებიდან გამომდინარე. რისკის ანალიზი შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა გზით, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ რისკზე, ანალიზის მიზანზე, ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე, მონაცემებზე, რესურსებზე და სხვა.

იდენტიფიკაციის და ანალიზის შემდეგ ხდება რისკის გაზომვა, რომელიც წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც ხდება რისკის ანალიზის შედეგებისა და რისკის კრიტერიუმების შედარება. რისკის გაზომვა ითვალისწინებს შეფასებული ანუ რეიტინგ მინიჭებული რისკის დამოკიდებულებას არსებულ კონტროლის მექანიზმებთან და დანესებულებებთან რისკის მისაღებ დონესთან. რისკის გაზომვის მიზანია, შესაბამისი ზომები იქნას მიღებული კონკრეტული კრიტერიუმებიდან, დანესებულებების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე.

თავი 2. ფინანსური რისკების სისტემური მართვა მსოფლიოში

2.1. გლობალიზაცია, როგორც ფინანსური რისკების ზრდის ფაქტორი

გლობალიზაციის მიმდინარე ტენდენციებს თან სდევს მსოფლიო მეურნეობის კავშირების და თანამშრომლობის დაჩქარებული და მაშტაბური ზრდა, საქონლის და მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება და დივერსიფიკაცია, კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია, საერთაშორისო

საწარმოო კოოპერირება, საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური თანამშრომლობა და გაცვლა. მას განასხვავებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მჭიდრო ფუნქციონალური ურთიერთკავშირი, მისი მზარდი ზეგავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე, სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის შეზღუდვა საერთაშორისო ინსტიტუციონალური და საბაზრო რეგულირების პირობებში.

ღია ეკონომიკის სტრატეგია გახდა განმსაზღვრელი არა მხოლოდ განვითარებული, არამედ განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებისთვისაც. ღია ეკონომიკა ნიშნავს პროტექციონიზმის სახელმწიფო ღონისძიებების დასუსტებას, კონკურენციის გამწვავებას შიდა ბაზარზე, ეროვნული ეკონომიკის მზარდ დამოკიდებულებას გარე ზეგავლენაზე.

მსოფლიო მაშტაბით ბაზრების და ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა აძლიერებს კონკურენციას, ქვეყნების უთანაბრობას სარგებლის მიღებაში. გლობალიზაციას თან ახლავს ნეგატიური შედეგების განვითარება ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომლებიც მისწრაფიან ფეხი აუწყონ მსოფლიო მეურნეობას და გაუთანაბრდნენ განვითარებულ ქვეყნებს, მათ აქვთ მცირე შესაძლებლობები მსოფლიოსამეურნეო პირობებისადმი.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსები და ინფორმაციული რევოლუცია. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმატიზაციის გავლენაა ახალი ეკონომიკის ჩამოყალიბება.

შესაძლოა კონსტანტირება გავუკეთოთ ინფორმაციული პროცესების გავლენის პოზიტიურ ტენდენციას მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაზე, რაც მდგომარეობს ინფორმაციის ასიმეტრიულობის გადალახვაში და მოგებული მოვლენის შემსუბუქებაში. ინფორმაციის მოცულობის გადიდებაში, რომელიც ხელმისაწვდომია პიროვნების ფართო წრისთვის.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ეპოქაში ინფორმაციული ტექნოლოგიები იწყებენ ითამაშონ ისეთი არსებითი, ფუნდამენტური როლი, რომ ვლინდება ტენდენცია გამოვყოთ იგი როგორც მესხეთე ფაქტორი წარმოებისა ცნობილ ფაქტორებთან - შრომის, კაპიტალის, ბუნებრივი რესურსების და მეწარმეობასთან ერთად.

როგორც ცნობილია,საკმაოდ ხშირად, დადებითი მოვლენა წარმოშობს თავის წინააღმდეგობას ამა თუ იმ ნეგატიური შედეგის სახით, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური რისკების მიეზებს. მოცემული გამოთქმები მთლიანად და სრულად გამოიყენება საზოგადოების ინფორმატიზაციის მიმართ. არის მთელი რიგი ფაქტორები, რომელიც მოქმედებს საპირისპირო მიმართულებით და ჯამში მიყვავართ დანაკარგებთან მსოფლიო კეთილდღეობის დონეში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც წარმოადგენს მიზებებს რისკისა და გნუსაზღვრელობის ახალი ეკონომიკის პირობებში, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერება, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის და კაპიტალის მოძრაობის გაღინება, ახალი ფინანსური ტექნოლოგიების და ინსტრუმენტების გამოჩენა, სახელმწიფო რეგულირების შემცირება ეკონომიკის ძირითად სექტორებში და სხვა.

ეკონომიკის ფინანსიზაცია ასევე გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკური სივრცის არასტბილურობაზე. ეკონომიკის ფინანსიზაციის პროცესი წარმოადგენს მისი ფინანსური სექტორის ხვედრითი წილის ზრდას მსოფლიოს და განვითარებული ქვეყნებში და ამ სექტორის მნიშვნელობის ზრდას.

ექსპერტები აღიარებენ, რომ მობილური და მჭიდროდ ინტეგრირებული სეგმენტი კაპიტალის ბაზრის მაღალლიკვიდური აქტივებისა იმდენად მნიშვნელოვანია მასშტაბებით დივერსიფიცირებულია ინსტრუმენტებით, რომ აქვს უნარი ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს მაკროეკონომიკურ სიტუაციაზე ცალკეულ ქვეყნებში და ცალკეულ რეგიონებში, ასევე გლობალურ დონეზეც გადაჭარბებული

ზრდა ფინანსური ბაზრის მაკროეკონომიკური სექტორებისა წარმოადგენს სტაბილურობის საფრთხეს სისტემურ დონეზე.

კაპიტალის სახელმწიფოთაშორისო მოძრაობის ლიბერალიზაციამ და დერეგულირებამ, რომელთა ნაკადები არაერთხელ გაიზარდა გლობალიზაციის ზეგავლენით, წარმოიშვა ახალი ფენომენი - ნეგატიური ზემოქმედება ეროვნულ ეკონომიკაზე. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გლობალიზაციის არასასურველი ზეგავლენა ქვეყნებზე, რომელთაც აქვთ არამდგრადი ეკონომიკური და ფინანსური სისტემები ვლინდება იმაში, რომ მას მივყევართ მოკლევადიანი კერძო კაპიტალის ნაკადების სწრაფ ზრდასთან, განსაკუთრებით მობილურ სპეკულატურ ტრანსპერტებთან.

უპირატესად მცურავი სავალუტო კურსების სისტემების შემთხვევაში, არსებითად დააჩქარა ლიბერალიზაციის და დერეგულირების პროცესები ეკონომიკაში, ამალდა სახელმწიფოთაშორისო ფინანსური ნაკადების მობილურობა, რომელიც, ექსპერტების საერთო აზრით, აძლიერებს ფინანსური სისტემების საერთო არასტაბილურობას როგორც ეროვნულ დონეზე, ისე მთელ მსოფლიოში.

მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობის ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილ ფაქტორებს მივყავართ განუსაზღვრელობასა და რისკებთან, რომელსაც ექვემდებარება არა მხოლოდ სამეურნეო სუბიექტები, არამედ მთელი ეროვნული ეკონომიკაც.

ეს ფაქტორები სტიმულირებას უწევს მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს, ასევე ქმნიან სარისკო ატმოსფეროს ბიზნესისათვის. ამ პირობებში რიგი ავტორები გვთავაზობენ რისკ-მენეჯმენტის ახალ მოდელს. ამ ახალი მოდელის აღსანიშნავად ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ტერმინები : კომპლექსური რისკ-მენეჯმენტი, ინტეგრირებული რისკ-მენეჯმენტი, სტრატეგიული რისკ-მენეჯმენტი, რისკ-მენეჯმენტი მთელი სანარმოების ფარგლებში, სანარმოს რისკ-მენეჯმენტი.

ამავდროულად საზღვარგარეთის ანალიტიკოსები განიხილავენ რისკ-მენეჯმენტის განვითარების კონკრეტულ მიმართულებებს. უპირველესყოფლის უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ისინი აკავშირებენ რისკის არსებობას მომავლის შესახებ ინფორმაციის არსებობასთან - ამინდის შესახებ, შემოსავლების შესახებ, გადასახადების შესახებ, გასაცვლელი კურსების შესახებ და ა.შ. რისკს განიხილავენ იმ შესაძლებლობების თვალსაზრისით, რომ მოვლენები შეიძლება მოხდეს არა ისე როგორც მოელოდნენ.

გაძლიერდა რისკის დისციპლინათაშორისი გამოკვლევები და სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა კოოპერაცია ახალი მოთედების და მიდგომების განვითარებისთვის, რომელიც დაკავშირებულია განხილულ პრობლემასთან. განსაკუთრებულ ყურადღებას სხვა ქვეყნის მკვლევარები უთმობენ რისკის ისეთ ფაქტორებს, როგორც აინფორმაციული ტექნოლოგიების დაჩქარებულ განვითარებას და საქმიანი აქტივების გლობალიზაციას. გამოკვლევების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ფინანსები. საფინანსო რისკების მართვის და შეფასების სფეროში ხდება არსებითი ცვლილებები.

თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები ანგრევენ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებს, რომლებიც შემოფარგლულია ლოკალური ბაზრები. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო ბაზრების ოპერირება გლობალური ინფორმაციის საფუძველზე რისკების გამოვლენისას, მათი გაზომვის, შეფასების და მართვისას, უცხოელი მეცნიერები იკვლევენ ფინანსურ დეროვატიებს, ფინანსური რისკების მართვის ინსტრუმენტების სახით. ფინანსური დეროვატიები წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომლის საფუძველში დევს საბაზრო აქტივი ფასიანი ქაღალდების სახით, მაგალითად ობლიგაციები და აქციები. გარდა ამისა, მსოფლიოში აქტიურად ვითარდება ფინანსური ინოვაციები - ფინანსური დეროვატიების გამოყენება რისკების მართვისთვის.

რისკ-მენეჯმენტი მიზნად ისახავს სტრატეგიებისა და ტაქტიკის განვითარებას, რათა თავიდან იქნას აცილებული ან ბიზნესში არსებული მიზნები და

ამოცანებიდან გამომდინარე არასასურველი რისკები. თუ ცალკეულ საწარმოს შეუძლიათ თავიდან აიცილონ რისკი ან შეამცირონ, მაშინ ერთობლივი ფორმით ეს არ შეიძლება გაკეთდეს, ვინაიდან არსებობს რისკის გადაცემა ერთი სუბიექტისგან მეორეზე.

2.2. მსოფლიოში არსებული ფინანსური რისკების სახეები

ეს, პირველ რიგში, კონკრეტული ქვეყნის თვისებებისა და მოვლენებით გამოწვეული ქვეყნის რისკებია. ეკონომიკურ ლიტერატურაში, ქვეყნის რისკები გულისხმობენ მატერიალური ან ფინანსური აქტივების პირდაპირ დანაკარგებს, განთავსებულს მოცემულ ქვეყანაში, ან გაუთვალისწინებელი შემცირება შემოსავლების ამ აქტივების მიხედვით, განპირობებული ამ ქვეყანაში მომხდარი მაკროეკონომიკური, ფინანსური ან სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის მოვლენებით, რომელთა განვითარებაზე კონტროლი ვერ მოახერხა ვერც კერძო საწარმოებმა, ვერც ცალკეულმა პირებმა.

ფინანსური რისკები განპირობებულია ფინანსური რესურსების მოსალოდნელი დანაკარგებით ე.წ. ფულადი საშუალებებით. ეს რისკები იყოფა ორ ძირითად სახეობად: რისკები დაკავშირებული ფულის მსყიდველუნარიანობასთან და რისკები დაკავშირებული კაპიტალის დაბანდებასთან.

სავალუტო რისკები წარმოადგენს სავალუტო დანაკარგების საფრთხეს, დაკავშირებულს ერთი უცხოური ვალუტის კურსის ცლილებით სხვის მიმართ საერთაშორისო, საკრედიტო და სხვა სავალუტო ოპერაციების წარმოებისას.

საინვესტიციო რისკები მოიცავს: მიუღებელი სარგებლის რისკს, შემოსავლიანობის შემცირების რისკს და პირდაპირი ფინანსური დანაკარგების რისკს.

მიუღებელი სარგებლობის რისკი - ეს არის რისკი ირიბი ფინანსური დანაკარგის დადგომისა რის შედეგადაც არ ხორციელდება რომელიმე ღონისძიება: მაგალიტად დაძრვევა, ინვესტირება და სხვა.

კომპანიის საგარეოეკონომიკურ საქმიანობის ერთერთ ჯგუფს რისკებისა წარმოადგენს მარკეტინგული რისკების ჯგუფი. ისინი დაკავშირებული არიან საქონლის შესაძლო გადაადგილებასა და რეალიზაციასთან გასაღების ბაზარზე.

უნდა აღინიშნოს, რომეკონომიკურ მეცნიერებებში არასაკმარისადაა გამოკვლეული ფინანსური რისკის მართვის მქანიზმი. მსოფლიოში რისკის მართვა შეიძლება დავახასიათოთ როგორც მეტოდების, ხერხებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა გარკვეული ხარისხით მოხდეს პროგნოზირება სარისკო მოვლენების დადგომისა და მიიღოს ღონისძიებები ასეთი მოვლენების დადგომის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად ან გამოსრიცხად.

კომპანიის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობის რისკების ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენს მარკეტინგული რისკების ჯგუფი. ისინი დაკავშირებული არიან საქონლის შესაძლო გადაადგილებასა და რეალიზაციასთან გასაღების ბაზარზე. რისკების მარკეტინგული ჯგუფების შეფასება საკმაოდ წონადი ამოცანაა. მარკეტინგული რისკების შესაძლო გამოვლენის ხარისხი საკმაოდ დიდია, მაგრამ ისინი არსებობენ მუდმივად, ჩვენგან დამოუკიდებლად, ხოლო ფინანსურმა დანაკარგებმა შეიძლება შეადგინონ დიდი თანხები. ამიტომ, საკითხი მარკეტინგული რისკების ანალიზის და შეფასებისა იკავებს მნიშვნელოვან ადგილს საგარეოეკონომიკური ურთიერთობის წრმოების ყველა ეტაპზე.

რისკის ანალიზი მისი მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკთან მიმართებაში ანალიზი გულისხმობს საფრთხის ინდივიდუალურ წყაროების გამოვლენას და შეფასებას მათ შესაძლო პოტენციურ გავლენას შესაძლო ფინანსურ და ფიზიკურ დანაკარგებზე დ ამ ორგანიზაციისთვის ზარალზე.

რისკის შეფასება წარმოადგენს ხარჯების რაოდენობის განსაზღვრას, დაკავშირებული რისკის სახეებთან, რომელიც გამოვლინდა მართვის პირველ ეტაპზე. ზოგადად, ეკონომიკური რისკის შეფასების არსებული მეთოდები შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად: შეფასების სტატისტიკური მეთოდი, საექსპორტო შეფასების მეთოდი, ანალოგიების გამოყენება, კომბინირებული მეთოდი.

ამდენად, თანამედროვე ეკონომიკური განვითარების თავისებურებები მოითხოვს რისკების მართვის მექანიზმის განვითარებას, რომელიც მოიცავს ანალიზის სხვადასხვა დონეს: ინტერ, მაკრო, საშუალო და მიკრო დონეზე. რისკის მართვის ზემოაღნიშნული ეტაპების გარდა, მექანიზმი უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: ორგანიზაციული, სამართებრივი, საინფორმაციო, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა.

თეორიასა და პრაქტიკაში განვითარდა რისკის მართვის ოთხი ძირითადი მეთოდი: აღმოფხვრა (თავიდან აცილება); პრევენია და კონტროლი; მიღება (შთანთქმის); გადარიცხვა (დაზღვევა).

ამდენად, თანამედროვე ეკონომიკური განვითარების თავისებურებები მოითხოვს რისკების მართვის მექანიზმის განვითარებას, რომელიც მოიცავს ანალიზის სხვადასხვა დონეს. რისკის მართვის ზემოაღნიშნული ეტაპების გარდა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: ორგანიზაციული, სამართებრივი, საინფორმაციო, სოციალური და ფსიქოლოგიური და სხვა.

გლობალური ფინანსური კაპიტალის კონცეფციამ აქამდე ვერ ჰყოვა ეკონომისტების კვლევებში ღრმა თეორიული გაგება. ფინანსური გლობალიზაციის, ფინანსური ეკონომიკის, გლობალური ფინანსური ბაზრების პრობლემები შესწავლილია მრავალი მკვლევარის მიერ და მრავალმხრივ ვლინდება მრავალრიცხოვან ნაშრომებში. ხოლო გლობალური ფინანსური კაპიტალი ფინანსურ სფეროში ყველა პროცესის ძირითადმა ელემენტებმა, ვერ ჰყოვა ასახვა. აისახა ეკონომიკურ ლიტერატურაში. ხოლო ათწლეულების გამოკვლევამ გვიჩვენა, ფინანსური ბაზრების, ფინანსური აქტივების უპრეცედენტო

ზრდა, გლობალური ფინანსური კაპიტალის შეუზღუდავი და სუსტად რეგულირებადი უნარი. ამ უნარს არ შეუძლია ჩაახშოს არა მხოლოდ მთელიეროვნული ბაზრები და სუვერენული ქვეყნის ეკონომიკა, არამედ გლობალური ფინანსური სისტემის განადგურება სისტემური ფინანსური რისკების რეალიზაციის გზით.

ზოგიერთმა ეკონომიკის მკვლევარმა, გამოიკვლია რა ფინანსური კაპიტალის ვირტუალური ფაქტიური ფენომენი, როგორც პროდუქტი ტოტალური ბაზრების ქსელის და კაპიტალის გლობალური ჰეგემონიისა, ვირტუალური კონომიკის და ფინანსური გლობალიზაციის პირობებში, უწოდებენ მას და შესაბამისად მთელ გლობალურ ფინანსურ სისტემას სტიქიურს, სუსტად რეგულირებად : შავ ყუთს“ . გლობალიტო ფინანსური კაპიტალი იმენად გაძლიერდა, რომ ნაკლებად კონტროლირებადი გახდა. გლობალური ფინანსური კაპიტალის მოძრაობა ქმნის სისტემურ ფინანსურ რისკებს.

გლობალურ საფინანსო კაპიტალს განსაზღვრავენ, როგორც ფინანსური კაპიტალის ყველაზე მაღალ ფორმას, რომელიც წარმოადგენს თავისუფლად მოძრავს მსოფლიო სამეურნეო სივრცეში, სუბიექტურად გამოხატულია საფონდო ფულადი კაპიტალიც, რომელსაც შეუძლია ეფექტიანად გამოიყენოს მსხვილი ეკონომიკური სტრუქტურების ორგანიზაციული საორგანიზაციო კვლავწარმოების პონენციალი, მათი კონკრეტული პროცედურები, ტექნოლოგიები და მართვის სისტემები, აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა, კონკრეტული ურთიერთობების ფორმები, რაც მას აძლევებს შესაძლებლობას სისტემაურად მიიღოს მისთვის დამახასიათებელი შემოსავალი - ფინანსური რენტა, გადახდა ცვლილებების შედეგებისთვის.

გლობალური ფინანსური კაპიტალის კონცეფციის გათვალისწინებით, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის ნებისმიერი ობიექტის, სუბიექტის ან ფენომენის მიმართ ტრადიციული განმარტებ ნიშნავს იმ ქვეყნების ყოვლისმომცველ მაშტაბურობას, ტერიტორიებს, ანუ საერთო გლობალურ

გავრცელებას. მიზანშეწოლილია აქცენტი გავაკეთოთ გლობალური ფინანსური კაპიტალის ანალიზზე, არა იმდენად საზღვრის მობილურზე, რამდენადაც მის გლობალურ გავლენაზე მსოფლიო ეკონომიკის, პოლიტიკის, თითქმის ყველა გამონაკლისის გარეშე. რისკის გლობალურ გავლენას ცხოვრების ყველა სფეროში, უფრო მეტიც, უფრო გონივრული იქნება მის გლობალურზე სუბარი, როგორც სამყაროს განვითარების თანამედროვე და სტრატეგიული ვექტორების საყოველთაო გავლენის პოტენციალზე. გავლენა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი რაც მრავალ ფაქტორზე არის დამოკიდებული.

გლობალური ფინანსური კაპიტალი საფრთხეს უქმნის საფინანსო სესტემების მთლიანობას, კონცენტრირებულია ერთ ხელში და ახდენს ბაზრის მონოპოლიზაციას, ხელს უწყობს ჭარბს ეკონომიკას და სპეკულაციურ სეგმენტებს ქმნის, ემსახურება ჩრდილოვანი ეკონომიკისა და არაკეთილსინდისიერი ეკონომიკური სუბიექტების არალეგიტიმურ საქმიანობას, ინიცირებას უკეთებს სისტემურ ფინანსურ რისკებს.

გლობალური ფინანსური კაპიტალის განსაზღვრისთვის მიზანშეწოლილია გადმოვცეთ ამ ცნების რამდენიმე განმარტება.

გლობალური ფინანსური კაპიტალი - წარმოადგენს გლობალურ ეკონომიკაში დაგროვილი ფულადი სახსრების ერთობლიობის ღირებულებას, რომელსაც მოაქვს მათი მფლობელისადმი შემოსავლები სამმართველო საქმიანობის შედეგად, რომელსაც ახორციელებენ თავად მფლობელები ან მესამე პირები.

გლობალური ფინანსური კაპიტალი არის ფინანსური კონგლომერატების კაპიტალი, რომელიც მიეკუთვნება სისტემურად მნიშვნელოვანი გლობალური საფინანსო ინსტიტუტების კატეგორიას. მათი სია შედგენილია და განახლდება ყოველწლიურად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივ ფორუმზე.

აღრე თუ ფინანსური კაპიტალის ფუნქციებად ითვლებოდა ღირებულების შექმნა, დაგროვება, სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა, თანამედროვე პირობებში გლობალური ფინანსური კაპიტალი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1. სისტემური ფინანსური რისკების გამოვლენის ფუნქცია: იგი გულისხმობს სისტემური რისკების იდენტიფიკაციას, სხვადასხვა დონეზე, რომელმაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბიზნეს აქტივობაზე და გამოიწვიოს სავარაუდო დანაკარგები.
2. სივრცული ფუნქცია: ფინანსური კაპიტალი მართავს ეკონომიკური, სოციალური ტერიტორიული განვითარების პროცესებს, შესაძლებელია ეროვნული და გლობალური სივრცის ცენტრის პერიფერიული სტრუქტურის შექმნა, რაც აძლიერებს სიმდიდრის განაწილების ასიმეტრიად მსოფლიოს ნაწილებს შორის, რეგიონულ ჯგუფებსა და ცალკეულ სახელმწიფოებს შორის. მსოფლიო ეკონომიკის ან მსხვის ეკონომიკურ სივრცეში შესვლა პერიფერიის უფლებით ცალკეული ქვეყნების ეკონომიკას აყენებს მკაცრი გლობალური კონკურენციის პირობებში, იწვევს გლობალური ფინანსური კაპიტალის აქტიური შეღწევას მათსი და ღიდ ეკონომიკურ სტრუქტურებში ქსელში ჩართვას, რომელიც ქსელური სახით მოიცავს სივრცეს.
3. ინტეგრაციის ფუნქცია: აღრე თუ ფინანსური კაპიტალი საშუალებას იძლეოდა ჩამოყალიბებულიყო საფინანსო ბაზრის ახალი სეგმენტები ინოვაციური ფინანსური ინსტუმენტების მეშვეობით, მაშინ დღეს სეგმენტებს შორის საზღვრები წაშლილია, სახეზეა კონვერგენციის ეფექტი, ანუ ბაზრების ურთიერთშეღწევა.
4. ვირტუალიზაციის ფუნქცია: იგი ითვალისწინებს რეალურ ეკონომიკურ მატერიალურ ბაზის მონყვეტას, დომინირებს კაპიტალისა და მისი პარამეტრების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული მტარებელი, ელექტრონული ფინანსური ბაზრების ფუნქციონირება.

5. ინსტიტუციონალური ფუნქცია: უკავშირდება ადმინისტრირების ახალი საფინანსო ინსტიტუტების ფორმირებას, რომელთაც შეუძლიათ მართონ ასევე გლობალური ფინანსური რეგულირების ნაციონალური სტრუქტურები.

გლობალური ფინანსური კაპიტალი და მისი მოძრაობა ემნის რისკებს. რისკი არის კაპიტალის ფუნქცია, ანუ რისკი არის კაპიტალის წარმოებელი. განვიხილავთ რა საფინანსო კაპიტალის ფულადი ფორმით, რომლითაც გადაადგილდებიან შერჩეული ტრაექტორიებით საიმედო, მომგებიანი, დაბალი რისკის განთავსების ძებნაში მთელს მსოფლიოში, ჩვენ ერთგვარულად ვსაუბრობთ იმ რისკებზე, რომლებიც მუდმივად თან ახლავს ამ პროცესს. ამრიგად ინვესტიციის განხორციელებისას, ინვესტორი ფიქტობს რისკის მინიმიზაციის შესახებ, სპეკულანტი ითვლის რისკს და მოთამაშე მზად არის ნებისმიერ რისკზე წასვლისა.

თავი 3. საქართველოში რისკების მართვა, ეროვნული ბანკის მიერ

3.1. საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს, საფინანსო სექტორის სტაბილურობის ხელშეწყობას. ამ ამოცანის შესრულების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი ზედამხედველობს, საფინანსო სისტემის წარმომადგენელი სუბიექტების საქმიანობას [2013 წლიდან ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება აღარ ვრცელდება სადაზღვეო ორგანიზაციებზე. მათზე ზედამხედველობის ფუნქცია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს დაეკისრა] , ხელს უწყობს მათ სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური რისკების კონტროლს და პოტენციური რისკების შემცირებას. ფინანსური სექტორის უდიდეს ნაწილს საბანკო სექტორი წარმოადგენს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს , რომ რისკებზე დაფუძნებული მსგავსი პრინციპები ახასიათებს სხვა ფინანსური ინსტიტუტების საზედამხედველო მიდგომასაც.

ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ფინანსური სისტემის მიერ საბაზისო ფუნქციების შესრულებას; ფინანსური სისტემის შოკების შთანთქმის შესაძლებლობას; რისკების ზუსტ შეფასებას და ეფექტიან მართვას - ისე რომ ფინანსური მომსახურების უზრუნველყოფა ზომიერი იყოს, არც ზედმეტად ჭარბი და არც შეზღუდული. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური სისტემის ეფექტიანობასა და რისკებს შორის სწორი ბალანსის არსებობა, იმგვარად რომ არ შეიზღუდოს კონკურენცია და არ დაირღვეს რისკი-სარგებლის ბალანსი.

ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის ზედამხედველობას და რეგულირებას ახორციელებს რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების მიხედვით, რაც გულისხმობს უფრო მეტი საზედამხედველო რესურსის მიმართვას შედარებით მეტი რისკიანი ინსტიტუტებისათვის. ეროვნული ბანკი ცდილობს, გამოკვეთოს და სათანადო ღონისძიებებით შეამციროს ის პოტენციური რისკები, რომელმაც, შესაძლოა პრობლემები შეუქმნად საფინანსო სისტემის ჯანსაღ და უსაფრთხო ფუნქციონირებას. აღნიშნული არ გულისხმობს საფინანსო სისტემის მონაწილე რომელიმე ინსტიტუტის გაკოტრების თავიდან აუცილებლად არიდებას, არამედ, გაკოტრების რისკებისა და საფრთხეების დროულად გამოვლენას და მათი რეალიზებით გამოწვეული უაყოფიერი ეფექტების მაქსიმალურ შემცირებას საფინანსო სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებაზე.

რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის ეფექტიანად ორგანიზების მიზნით, ეროვნული ბანკი იყენებს პოტენციური ზეგავლენისა და რისკების შეფასების მოდელს. აღნიშნული წარმოადგენს სებ-ის რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის ჩარჩოს.

GRAPE¹ რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის უწყვეტი ციკლია, რომლის მიზანია კომერციული ბანკების რისკების შეფასება და შესაბამისი საზედამხედველო ქმედების განსაზღვრა. მის საფუძველზე ფასდება თითოეული კომერციული ბანკის რისკის პროფილი. კომერციული ბანკების რისკებისა და მათი პოტენციური ზეგავლენის შეფასების შემდეგ განისაზღვრება საზედამხედველო ყურადღებისა და ინტესივობის დონე, იდენტიფიცირებული რისკების შემცირების საზედამხედველო ღონისძიებები.

საქართველოს ეროვნული ბანკი რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის განხორციელებისას იყენებს შემდეგ პრინციპებს :

¹ [მისი წესი დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის 32/04 ბრძანებით „ კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე“]

მატერიალურ რისკებზე კონცენტრირება - იმ რისკებზე ფოკუსირება, რომლებიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის ფინანსური სექტორის სტაბილურობას ან დეპოზიტორების სახსრებს;

მომავალზე ორიენტირებული მიდგომა და ადრეული ინტერვენციები - აღნიშნული გულისხმობს ზედამხედველობის მიერ ბანკის ან საბანკო სექტორის საფრთხეებისა და პრობლემების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას და მათ აღმოსაფხვრელად სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას;

რეგულირებად ფინანსურ ინსტიტუტებთან დიალოგი - ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტი და მათი რისკებისადმი ტოლერანტობა განსაზღვრავს, როგორც კომერციული ბანკის საქმიანობის რისკიანობას, ასევე წარმოადგენს აღნიშნული რისკების შემცირების ერთ-ერთ საშუალებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტების სხვადასხვა რგოლის მენეჯმენტთან დიალოგი. აღნიშნული საშუალებას აძლევს ზედამხედველს, გაეცნოს ბანკის კულტურას, სტრატეგიასა და მოტივაციას. დიალოგმა ხელი უნდა შეუწყოს სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის მხრიდან ბანკში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას, რისკების მართვის დახვეწას.

სისტემური საკითხების გათვალისწინება - ეფექტიანი ზედამხედველობის პროცესში მიკროპრუდენციულ ელემენტებთან ერთად მაკროპრუდენციული ელემენტების გამოყენება. აღნიშნული გულისხმობს ისეთი საკითხების გათვალისწინებას, მაკროეკონომიკური გარემო, ბიზნეს ტენდენციები, საბანკო სექტორის მონაცემების და ჯამური კონცენტრაციის გათვალისწინება და სხვა.

თანმიმდევრულობა, შესაბამისობა და თავსებადობა - ბანკებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ერთნაირი მახასიათებლების მქონე ბანკების მონაცემთა დაჯგუფებასა და გადანყვეტილებების მიღების პროცესებში თანმიმდევრული მოთხოვნების დანერგებას. აღნიშნული ასევე მოიცავს თითოეული ასეთი ინსტიტუტის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელი ინდიკატორების შედარებას ჯგუფის საშუალო მაჩვენებელთან

შიდა რესურსების ეფექტიანი გამოყენება - რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო პროცესი გულისხმობს საზედამხედველო რესურსების ყველაზე ეფექტიან გამოყენებას, წესებთან შესაბამისობის პასიური შეფასების ორიცხის ნაცვლად რისკებსა და მათი მოტივაციის გზებზე ფოკუსირებას.

ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის შესრულებაში ჩართული თითოეული თანამშრომელი უდიდეს როლს ასრულებს ფინანსური სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფაში. აქედან გამომდინარე, მათ მოეთხოვებათ მაღალი სტანდარტების დაცვა საქმიანობის განხორციელების პროცესში. ზედამხედველობის სუბიექტისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პროცესში, ნებისმიერი ზედამხედველი ვალდებულია იმოქმედოს შემდეგი ღირებულებების დაცვით:

პროფესიონალისმი

- დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების მაღალი ხარისხით შესრულება;
- გადანყვეტილების მიღება სრულყოფილი და ღრმა ანალიზის შედეგად;
- მიღებული გადანყვეტილების პატივისცემა და მუშაობა სასურველი შედეგების მისაღწევად;
- დროული და პრაქტიკული შედეგების მიღწევა, უზრუნველყოფა იმისა, რომ კონკრეტული გადანყვეტილების შედეგად მიღებული სარგებელი აჭარბებს დანახარჯებს.

კეთილსინდისირება

- პასუხისმგებლობა საკუთარ განცხადებებსა და დაპირებებზე;
- უფლებამოსილება და ძალაუფლების დაბალანსებული და სამართლიანი გამოყენება;
- მიუკერძოებლობა გადანყვეტილების მიღებისას და მოვალეობების შესრულებისას;
- კონფიდენციალურობის დაცვა.

თანამშრომლობა

- სხვების შეხედულებების პატივისცემა და დაფასება, როგორც ეროვნული ბანკის შიგნით, ასევე მის გარეთ;
- კოლეგების დახმარება და თანამშრომლობა მათ მიერ ჯანსაღი გადაწყვეტილებების და წარმატებული შედეგების მიღების მიზნით.

მომავალზე ორიენტირებულობა

- მომავალზე ორიენტირებული ანალიზი;
ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენება პოტენციური პრობლემის გამოსავლენად და საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ღონისძიების დროულად განხორციელება;
- განვითარების კვალდაკვალ სვლა ახალი უნარების შესაძენად და ცოდნის გასაღრმავებლად.

ანგარიშვალდებულება

- საკუთარ გადაწყვეტილებებსა და შედეგებზე პასუხისმგებლობა;
- რთული გადაწყვეტილებების და ქმედებების განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში, მსგავსი მსგავსი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის არ თქმა;
- იმავე ან უფრო მაღალი სანდარტებით მოქმედება, რითაც ხელმძღვანელობენ რეგულირებადი სუბიექტები;
- კრიტიკული შენიშვნების მიმართ მზაობა და სწრაფი რეაგირება საკუთარ საქმიანობაში აღმოჩენილ ხარვეზებზე.

3.2. რისკების შეფასების პროცესი

GRAPE პროგრამის ფარგლებში, ფასდება თითოეული კომერციული ბანკის პოტენციური ზეგავლენა და რისკები.

პოტენციური ზეგავლენა

პოტენციური ზეგავლენა განსაზღვრავს კომერციული ბანკის პოტენციური ფინანსური სიძნელეებით გამოწვეულ შედეგებს და მათ შესაძლო ასახვას მთლიანად ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე. აღნიშნული ზეგავლენა ასოცირდება კომერციული ბანკის სისტემურობასთან. მისი ციფრობრივი გამოხატვა შესაძლებელია სხვადასხვა საზომით, რომელიც არის ბანკის სისტემასთან კორელაციაში. კომერციული ბანკის სისტემურობის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორია ინსტიტუტის ხვედრითი წილი ფინანსურ ბაზარზე, მაგალითად, დეპოზიტების ბაზარზე ან სასესხო ბაზარზე, თუნდაც მთლიანი აქტივების მიხედვით, მაგრამ გარკვეულ საბანკო მომსახურების ბაზარზე უნიკალური სეგმენტი ეკავოს და მისი სწრაფი ჩანაცვლება სხვა ბანკებით შეუძლებელი იყოს. ეს სეგმენტი თუ ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია, მაშინ იზრდება ბანკის სისტემურობის წონა. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, თუ რამდენად მჭიდროდ არის დაკავებული ბანკი სხვა დანარჩენ ბანკებთან. შესაბამისად, თუნდაც მცირე ბანკის საბრთხეში ჩავარდნას, შესაძლოა გადამდები ნეგატიური ეფექტი ჰქონდეს მთლიანი საბანკო სისტემისათვის.

ცალკეული კომერციული ბანკის სისტემური მნიშვნელობის შესაფასებლად ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის რეკომენდაციითა და ევროპის საბანკო უწყების მიერ შერჩეული მიდგომით, ასევე ადგილობრივი ფინანსური სექტორის მიმდინარე მახასიათებლებით და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული გამოწვევებით. შედეგად, ეროვნული ბანკი ისეთ კრიტერიუმებს ითვალისწინებს

როგორებიცაა: ზომა, ჩანაცვლების შესაძლებლობა, კონპლექსურობა და ურთიერთკავშირები.

რისკების შეფასება

რისკების შეფასებისას განისაზღვრება კომერციული ბანკის საერთო რისკის პროფილი და ფასდება რამდენადაა შესაძლებელი მასში ფინანსური სიძნელების წარმოქმნა.

GRAPE-ის ფარგლებში შესაფასებელი რისკის კატეგორიებია: საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯგუფის სტრუქტურა, კორპორაციული მართვა, საერთო რისკირესურსებამდე, რესურსები და საერთო რისკი რესურსების შემდეგ.

შეფასება გულისხმობს თითოეულ კატეგორიაში ინჰერენტული² რისკისა და მისი მიტიგანტების³ შეფასებას. ამასთან თითოეულ კატეგორიას მინიჭებული აქვს რისკის წონა. აღნიშნული რისკების ჯამი უნდა უდრიდეს 100%-ს. რისკის წონები ცალკეული კომერციული ბანკისთვის ინდივიდუალურია, მისი ბიზნეს მოდელი და მოცემული კომერციული ბანკისათვის კონკრეტული რისკის კატეგორიის მნიშვნელობის დონის გათვალისწინებით.

რისკის კატეგორიები და მათი შეფასების კრიტერიუმები:

1. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი, ასევე აქტივების საკრედიტო ხარისხის გაუარესებით მიღებული დანაკარგები. საკრედიტო რისკი ტრადიციული საბანკო საქმიანობის პირობებში ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კომერციული ბანკისათვის.

² თანდაყოლილი

³ რისკების შემარბილებელი ფაქტორების

ინჰურენტული რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია:

- ბანკის დაფინანსების სტრატეგია;
- კორპორატიული პორტფელის მახასიათებლები:
 - სექტორები, ვადიანობა, უზრუნველყოფის საშუალებები, ფინანსური კოეფიციენტები;
 - პორტფელის ზრდის დაგეგმილი და ფაქტიური მაჩვენებლები, პორტფელის ზრდის წყაროები;
 - რეზერვები და რისკის სხვა მახასიათებლები;
 - რესტრუქტურირებული და რეფინანსირებული სესხები;
 - სავალუტო საკრედიტო რისკი
 - კონკურენცია და საპროცენტო განაკვეთები.
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაცია - უმსხვილესი ჯგუფები, უმსხვილესი სექტორებით გაანგარიშებული სახელობითი და სექტორული კონცენტრაცია;
- გარესაბალანსო ვალდებულებები;
- საზედამხედველო სტრუქტურის ტესტების შედეგები საკრედიტო დანაკარგებთან მიმართებაში.

მიტიგანტების ნაწილში საკრედიტო რისკის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვიცნობიერებულობა და ჩართულობა საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის ლიმიტების განსაზღვრასა და მონიტორინგის პროცესებში;
- საკრედიტო რისკების მართვაში ჩართულ კომიტეტებზე გადანაწილებული როლები და პასუხისმგებლობები, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის დელეგირების სისტემები;

- რისკების დირექტორის როლი საკრედიტო რისკის მართვაში;
- საკრედიტო რისკთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები;
- სესხის გაცემის, უზრუნველყოფის შეფასების პრაქტიკა;
- შესაძლო დანაკარგების რეზერვების განსაზღვრისა და მონიტორინგის სისტემები;
- პრობლემური აქტივების მართვის პოლიტიკა;
- საინფორმაციო სისტემები - შიდა და გარე ანგარიშგების ხარისხი;
- შიდა აუდიტის როლი საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ საკითხებში;
- ანაზღაურებისა და მოტივაციის სისტემები, როგორც მატერიალური რისკების ამღები პირების, ასევე რისკების დამოუკიდებელი ფუნქციის თანამშრომლებისათვის.

კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნას საკრედიტო რისკის სხვა ელემენტებიც.

2. ლიკვიდობის რისკი

ბანკის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში მნიშვნელოვანი მოულოდნელი დანაკარგების გარეშე, ეს არის ლიკვიდობის რისკი.

ლიკვიდობის ინჰერენტული რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია:

- ლიკვიდობის რისკის პოზიცია;
- ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა, ხარისხი;
- ვალდებულებების სტრუქტურა, კონვერტაცია, დინამიკა;
- ლიკვიდობის საგანგებო გეგმა;
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები.

მიტიგანტების ნაწილში ლიკვიდობის რისკის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვინობიერებულობა და ჩართულობა ლიკვიდობის რისკთან დაკავშირებულ საკითხებში;
- ლიკვიდობის მართვის ფუნქციებისა და აქტივ-პასივების კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა, შემადგენელობა, კვალიფიკაცია;
- ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები;
- შიდა ლიმიტების არსებობა და მათი კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმები.

შესაძლოა, გათვალისწინებული იქნას ლიკვიდობის რისკის სხვა ელემენტების, კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე.

3. საბაზრო რისკი

სხვადასხვა საბაზრო ფასის ცვლილებებით გამოწვეული ზარალის რისკი, ეს არის საბანკო რისკი. კრძოდ, გაცვლითი კურსების, პროცენტების, პორთფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების და ისტრუმენტების ფასების ვლილებამ შეიძლება, მნიშვნელოვანი მოგება ან ზარალი მოუტანოს კომერციულ ბანკს და მთლიანად საბანკო სისტემას. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ გაზარდონ საკრედიტო რისკიც.

ინჰერენტული საბაზრო რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია :

- ღია სავალუტო პოზიცია;
- სტრუქტურული პოზიცია
- საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიცია
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები.

მიტიგანტების ნაწილში საბაზრო რისკის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვიცნობიერებულობა და ჩართულობა საბაზრო რისკთან დაკავშირებულ საკითხებში;
- სავალუტო და საპროცენტო და ბანკისთვის დამახასიათებელი სხვა საბაზრო რისკების მართვის პოლიტიკა-პროცედურები, ჩართული პასუხისმგებელი ერთეულები;
- შიდა ლიმიტების არსებობა, მათი კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმები.

კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა შეფასდეს საბაზრო რისკის სხვა ელემენტები.

4. საოპერაციო რისკი

არაადეკვატური შიდა პროცესების, ადამიანთა ქმედებების, სისტემებისა და გარე ფაქტორების შედეგად გამოწვეულ რისკს ექოდება საოპერაციო რისკი :

- ბანკის ოპერაციების ზომა, კომპლექსურობა, სირთულე;
- აუთსორსინგის პოლიტიკა;
- კიბერ-უსაფრთხოების რისკი;
- ბანკის დამოკიდებულება საოპერაციო შეფერხების მიმართ;
- თაღლითობისადმი „მიდრეკილება“;
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები

მიტიგანტების ნაწილში ფასდება:

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვიცნობიერებულობა და ჩართულობა საოპერაციო რისკებთან დაკავშირებულ საკითხებში;
- საოპერაციო მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები, საოპერაციო დანაკარგების აღრიცხვა-მონიტორინგის სისტემებში;
- ბიზნეს უწყვეტობის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები, ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და მისი ტესტირება;

- კიბერ-უსაფრთხოების მართვა, შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურების, კონტროლის სისტემები;
- თაღლითობის რისკის ცნობიერება მენეჯმენტის მხრიდან, მისი მართვის პოლიტიკისა და კონტროლის მექანიზმები;
- ბანკის მონაცემების აღრიცხვიანობის მომავალი სიზუსტის რისკის კონტროლის მექანიზმები.

5. ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა

ბანკის სტრატეგიამ და ბიზნეს მოდელმა შეილება, მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი რისკი. ამასთან, მომგებიანობა ბანკების კაპიტალის შიდ ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. შესაბამისად მნიშვნელოვანია აღნიშნული რისკების შეფასება.

ბიზნეს მოდელისა და მომგებიანობის მოდელის ინჰერენტული რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია:

- ბანკის არსებული ბიზნეს მოდელი;
- ბანკის სტრატეგია და მისი მოღვაწეობა;
- ბანკის საბაზრო პოზიცია, კონკურენტუნარიანობა;
- ბანკის მომგებიანობა, შემოსავლიანობა და მისი მდგრადობა;
- ძირითად პროდუქტებზე ფასდადების მოდელები;
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები ბანკების მომგებიანობაზე.

მიტიგანტების ნაწილში შეფასებულია:

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვითცნობიერებულობა და ჩართულობა ბანკის ბიზნეს მოდელის განსაზღვრაში, მონიტორინგი ბანკის მომგებიანობის მაჩვენებლებზე.

6. მაკროეკონომიკრი გარემო

მაკროეკონომიკური გარემოს შეფასება გულისხმობს სისტემური ხასიათის რისკების შეფასებას, რომლებიც ზემოქმედებენ ბაზრის ყველა მონაწილეზე და მათგან გადაეცემა რეალური ეკონომიკის სექტორს. სისტემური რისკების სრული განეიტრალება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი ზემოქმედების შემსუბუქება საბანკო სექტორზე და მისი მეშვეობით მთლიანად ეკონომიკაზე.

მაკროეკონომიკური გარემოს ბანკზე გავლენის შესწავლის მიზნით, ინჰერენტული რისკის კათეგორიაში გაითვალისწინება:

- ბანკის ბალანსის სტრუქტურა
- სასესხო პორთფელის სტრუქტურა
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები.

მიტიგანტის ნაწილში აგსათვალისწინებელია:

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვიცნობიერებულობა და ჩართულობა მაკროეკონომიკური გარემოსა და ბანკზე მის გავლენასთან დაკავშირებულ საკითხებში;
- მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა მაროეკონომიკური სცენარების გათვალისწინება;
- ბანკის მიერ სტრეს-ტესტების ჩატარების ხარისხი.

ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებელია, გაანალიზდეს სხვადასხვა მაკროეკონომიკური გარემოს მახასიათებლის გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

7. ჯგუფის სტრუქტურა

კომერციული ბანკების რისკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მისი ჯგუფის სტრუქტურა, რადგან აღნიშნულზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბანკის რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ამასთან, ჯგუფის სხვა წევრებთან მჭიდრო ურთიერთკავშირების სხვადასხვა ფორმებს ბანკის

რისკიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. შესაბამისად, ჯგუფის სტრუქტურის შეფასება რისკების შეფასების სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

ჯგუფის სტრუქტურის ინჰერენტული რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია:

- მფლობელობის სტრუქტურა
- ბანკის ინვესტიციები
- ჯგუფის წევრებს შორის ტრანზაქციები
- ჯგუფის წევრებს შორის კორელაციასთან დაკავშირებული რისკები

მიტიგანტის ნაწილში გაითვალისწინება:

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვინობიერებულობა და ჩართულობა ზემოთ მოცემულ რისკების მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებში;
- ჯგუფისდონემეკორპორაციული მართვის პრაქტიკა.

კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შესწავლილი იყოს ჯგუფის სტრუქტურასთან დაკავშირებული სხვა ნიშნელოვანი საკითხები.

8. კორპორაციული მართვა

არსებულ კატეგორიაში ინჰერენტული რისკი და მიტიგანტის შეფასება მოიცავს ერთსა და იმავე ელემენტებს:

- სამეთვალყურეო საბჭო - პასუხისმგებელია მთლიანი ინსტიტუტის რისკის აპეტიტის განსაზღვრაზე. საბჭოსა და მასთან არსებული კომიტეტების წევრების განათლება, გამოცდილება, კვალიფიკაცია, რაოდენობა და უნდა შეესაბამებოდეს კომერციული ბანკის საქმიანობის მასშტაბებსა და

კომპლექსურობას. საბჭო აქტიურად უნდა იყოს ჩართული აღმასრულებელი მენეჯმენტის მონიტორინგის პროცესში.

- დირექტორატი - ის პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ მართვაზე. დირექტორატს შეუძლია მნიშვნელოვნად იმოქმედოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, პოლიტიკების გაუმჯობესებასა და საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიის დანერგვაზე. დირექტორატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე რისკის მართვის სისტემის შესაფერისობასა და ეფექტიანობაზე. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში, ასევე დირექტორატის შესაფერისობის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, როგორც თითოეული წევრის, ასევე ჯამურად, მათი შესაფერისობა ბანკის საქმიანობის მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან.
- რისკების მართვა და შიდა კონტროლი - მათ ეფექტიანობაში სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა განისაზღვრება ძირითადი რისკების სტრატეგიის დამტკიცებითა და ბიზნეს გარემოს ცოდნით. რისკების მართვისა და შიდა კონტროლის მექანიზმები დაკავშირებულია ბანკის საქმიანობის მასშტაბებთან, ზომასთან და ოპერაციებთან.
- ანაზღაურების და მოტივაციის სისტემა - ანაზღაურებისა და მოტივაციის სისტემა მუდმივ სესაბამისობაში უნდა იყოს ბანკის რისკის აპეტიტთან. არსებული სისტემები ყველა რგოლზე არ უნდა აჩნდეს გადაჭარბებული რისკების აღების მოტივაციას. მნიშვნელოვანია, რომ მატერიალური რისკის ამღები პირების ანაზღაურების დიდი ნაწილი იყოს ცვალებადი და მათი გადახდა იყოს დამოკიდებული აღებული რისკების მატერიალიზებაზე. დამოუკიდებელი ფუნქციების ანაზღაურება საშუალებას უნდა იძლეოდეს კვალიფიციური და ადეკვატური რესურსების შენარჩუნებისათვის.
- კორპორაციული მართვის სხვა ელემენტები შესაფასებელი იქნება კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე.

9. საერთო რისკი რესურსებამდე, რესურსები და საერთო რისკი რესურსების შემდგომ

კომერციული ბანკების თითოეული რისკის კატეგორიის შეფასებაში მიღებული ქულისა და წონის გადამრავლების შეკრება იძლევა საერთო რისკის ქულას რესურსებამდე. აღნიშნულის შემდგომ ხდება კომერციული ბანკების რესურსების ანალიზი. რესურსებზე წვდომა, რისკების რეალიზაციით მიღებული ზარალის გაუნებელყოფის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ანალიზისას ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა რესურსებზე აქვს ბანკს პოტენციური წვდომა უარყოფითი ტენდენციების განვითარების შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე გაითვალისწინება სტრესულ სიტუაციაში /ზირითადი აქციონერების ან ბენეფიციარი მფლობელის ისტორიული ან პოტენციური მხარდაჭერა. ასეთი რესურსების არსებობა დამატებით წყაროს წარმოადგენს მოულოდნელი ზარალის დაფარვისა და ბანის საქმიანობის სეუფერხებლად გაგრძელების უზრუნველყოფისთვის. რესურსების გაანალიზების შემდგომ, განისაზღვრება კომერციული ბანკების საერთო რისკის პროფილი - ბანკის საერთო რისკი რესურსების შემდგომ.

რესურსების ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის მიზნებისათვის, როგორც რისკების შეფასებისას, ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობს გარე პირებთან - აუდიტორიებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, სარეიტინგო კომპანიებთან, საერთაშორისო ანალიტიკოსებთან, სამინისტროებთან და სხვა. გარე წყაროებზე დაყრდნობა მნიშვნელოვნად ზოგავს ზედამხედველობის სამუშაო რესურსსა და მათი პოტენციური რისკების იდენტიფიცირებაზე მიმართვის შესაძლებლობას იძლევა.

3.3. იპოთეკური სესხის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საკრედიტო პორთფელის სწრაფი ზრდის შედეგად გაიზარდა საკრედიტო რისკის ანალიზის მნიშვნელობა. ფინანსური კრიზისის შემდეგ, ახალმა რეგულაციებმა აიძულა კომერციული ბანკები გაეუმჯობესებინათ საკრედიტო რისკის მენეჯმენტი და განვითარებინათ სტატისტიკური მოდელები მისი ანალიზისთვის.

საკრედიტო რისკი არის საბანკო სექტორისა და ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი ძირითადი რისკი, რომელიც წარმოიშვება კლიენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად. აქედან გამომდინარე კომერციული ბანკებისათვის სესხის გაცემისას შესაძლო რისკების იდენტიფიცირება და მსესხებლის გადახდისუნარიანობის სწორი შეფასება. ასევე, საბანკო სექტორში არსებული საბანკო რისკების ანალიზი და მათი ეფექტურად მართვა მნიშვნელოვანია მარეგულირებელი ორგანოსთვის, რომელიც პერიოდულად ამოწმებს კომერციული ბანკების საკრედიტო პორთფელს და განსაზღვრავს შესაძლო დანაკარგების რეზერვს. კომერციული ბანკები ასევე იყენებენ საკრედიტო პორთფელს გირაოს ბაზად. გირაოს ბაზად გამოყენებული სესხების სწორი შეფასება მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკისთვის, რათა არ მოხდეს საკრედიტო რისკის მარეგულირებელ ორგანოზე გადატანა.

იპოთეკური სესხების საკრედიტო რისკის არასწორ შეფასებას ფინანსური კრიზისის გამოწვევა შეუძლია. მსგავსი რისკის შესამცირებლად, საჭიროა საკრედიტო რისკის სტატისტიკური მოდელების განვითარება და მათი პროგნოზირების უნარის გაუმჯობესება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში სტატისტიკური მეთოდები მნიშვნელოვნად განვითარდა და დღეს უკვე ფართოდ გამოიყენება მსესხებლისთვის სესხის გაცემის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

იპოთეკურ სესხებს მნიშვნელოვანი წილი უჭირავთ ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში, მათი პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 40% - ს. კომერციული ბანკები იპოთეკურ სესხებს თართოდ იყენებენ ირაოს ბაზად, ასევე აღსანიშნავია რმ ბოლო ათწლეულის განმავლობაში იპოთეკური სესხები ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდებიან.

დღესდღეისობით საქართველოში იპოთეკური სესხის გაცემისას, ბანკი განსაზღვრავს კლიენტის გაკოტრების რისკს ექსპერტულ შეფასებაზე დაყრდნობით მსესხებლის მიერ მიწოდებული ნფორმაციის საფუძველზე. ექსპერტული შეფასების ხარჯების შესამცირებლად, მიღებული გადაწყვეტილების ეფექტურობის გასაზრდელად და სესხის დამტკიცებისთვის საჭირო დროის შესამცირებლად, მნიშვნელოვანია კომპლექსური სტატისტიკური მეთოდების გამოყენება. მონესრიგებული მონაცემთა ბაზის არსებობის შემთხვევაში, ბანკს საშუალება ექნება შეაფასოს მსესხებლის მახასიათებელზე დაყრდნობით მათი გადახდისუნარიანობა და სტატისტიკური მოდელი პერიოდულად განაახლოს, რათა გაითვალისწინოს გაკოტრებაზე მოქმედი მახასიათებლების ცვლილება. სწორი შეფასება მომგებიანი არის, როგორც ბანკისთვის ასევე მსესხებლისთვის. საკრედიტო რისკის გაუმჯობესებული მენეჯმენტი საშუალებას მისცემს კომერციულ ბანკებს შეამცირონ საპროცენტო განაკვეთი, მიიზიდონ მეტი მომხმარებელი და გაუმჯობესოს ფინანსური შედეგები.

დურანდის კვლევა იყო პირველი, სადაც 37 ფირმის მიერ გაცემული სესხების მონაცემებზე დაყრდნობით შეფასებულია მსესხებლის საკრედიტო რისკი მისი მახასიათებლების გათვალისწინებით. ამის შემდეგ სტატისტიკური მეთოდები მნიშვნელოვნად განვითარდა და დღესდღეისობით თითქმის ყველა მსხვის ბანკს აქვს მსგავსი მოდელები. აღნიშნული საკრედიტო მოდელების მიზანია წარსულ და მიმდინარე მონაცემებზე დაყრდნობით შეაფასონ მომხმარებლის გადახდისუნარიანობა.

აღსანიშნავია, რომ მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასებისას , მოდელებს მუდმივი განახლება სჭირდებათ, რათა დროთა განმავლობაში მოსახლეობა ვითარდება და გაკოტრებაზე მოქმედი მახასიათებლების მნიშვნელობა იცვლება. მახასიათებლები უფრო უფრო სწრაფად იცვლება განვითარებად ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ფინანსური განათლება და შემოსავალი დაბალია. სტატისტიკური მეთოდების კიდევ ერთი ნაკოვანება არის არასრულყოფილი მონაცემთა ბაზა. მონაცემები ძირითადად მოიცავს იმ მსესხებელს, რომლებზეც სესხი გაიყა და არ ხდება იმ ადამიანების მახასიათებლების გათვალისწინება, რომლებსაც უარი ეთქვათ სესხზე.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში : ფინანსური რისკების მართვის თავისებურებანი : მსოფლიო გამოცდილება და საქართველო“, ჩვენ განვიხილეთ ფინანსური რისკების მართვის სხვადასხვა სახის სახეები, რომელებიც მნიშვნელოვან

ფაქტორს წარმოადგენს პრობლემების და ფინანსური დანახარჯების თავიდან აცილებისთვის.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობაში რისკების მართვას უნდა ჰქონდეს თავისი სტრატეგია და ტაქტიკა. ფინანსური რისკების ეფექტურობისათვის და სტაბილურობისათვის აუცილებელია სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობა.

მსოფლიოში ფინანსური რისკების სისტემურ მართვასა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის და შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს სხვადასხვა სახის დასკვნები და რეკომენდაციები, კერძოდ : ფინანსური სექტორის გამართულად ფუნქციონირებისათვის საბანკო სექტორთან ერთად პრუდენციულ ზედამხედველობას არასაბანკო სექტორის უნდა დაეყვამდებაროს, რაც ფინანსური ინსტიტუტის რისკის პროფილისა და სიდიდის მიხედვით უნდა განხორციელდეს. ფინანსური ინსტრუმენტების ყოველი სახეობისათვის დამახასიათებელია ზოგადი რისკები, რომლის ცოდნა და შეფასება სავალდებულოა ინვესტირების გადაწყვეტილებისათვის. ეს რისკებია : ეკონომიკური რისკი, ინფლაციის რისკი, პოლიტიკური რისკი, ლიკვიდობის რისკი და სხვა. საფინანსო სექტორი, კონკრეტულად საბანკო სექტორი, განსხვავებულია სხვა ინდუსტრიისგან უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მისი სრული ან ნაწილობრივ გაკოტრებაც კი დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ბანკების წრუმატებლობა შესაძლებელია მთელს ეკონომიკაში დიდი სირთულეების მიზეზი გახდეს, ერთ ბანკში დაწყებული კრიზისი შესაძლოა გადამდები აღმოჩნდეს სხვა ფინანსური ინსტიტუტებისთვის რამაცც სისტემურ რისკებს შეიძლება დაუდოდს სათავე.

მოცემუ კვლევაში, რომელიც მიეკუთვნება იპოთეკური სესხის მქონდე მსესხებლის საკრედიტო რისკის განსაზღვრის სტატისტიკური მოდელი, კვლევის შედეგები გვიჩვენებს მსესხებლის გადახდისუნარიანობაისმახასიათებლებს, რომლებიც არის: სესხის მომსახურების კოეფიციენტი, სესხის ფარდობის კოეფიციენტი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასთა, საკრედიტო ისტორია და

კლიენტის სტატუსი. მოდელის სწორი პროგნოზირების საშუალო მაჩვენებლის გამოთვლა საერთო ჯამში თავიდან ირიდებს სხვადასხვა გაუთვალისწინებელ ფინანსურ ზარალს.

აქედან გამომდინარე, ეს ნაშრომი მოტივირებულია იდეით გამოითვალოს რისკები ფინანსურ ბაზარზე, რომელიც შეიძლება რეალიზებულია ფინანსური ბაზრის მონაცემთა ბაზარზე. ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შემცირდეს გამოთვლების რაოდენობა, დაიზოგოს დრო და იყოს უფრო მართვადი და სტაბილური ფინანსური რისკები საფინანსო სექტორებში

გამოყენებული ლიტერატურა ბიბლიოგრაფიული ნუსხა

- 1) ასათიანი ვლ., ცაავა გ. - კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი 9 თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2014
- 2) ბერიძე რ., „საბანკო მენეჯმენტი“, თბილისი, 2009
- 3) ბენიძე ნ., შონია ნ., ბინაძე ჯ., : რისკები და დაზღვევა, თბილისი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2010
- 4) ბერიკაშვილი ლ., „ფინანსური რისკების სისტემური მართვა გლობალიზაციის პირობებში“ - დისერტაცია, 2019
- 5) ბერიძე რ. 2009. საბანკო მენეჯმენტი, თბილისი
- 6) ბენიძე ნ., შონია ნ., ბინაძე ჯ. – „ რისკები და დაზღვევა“. - თბილისი, გამომცემლობა „ინოვაცია“, 2019
- 7) ბასილია კ., ლიპარტია ზ. – „ ფინანსური კონტროლი“, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ , 2012
- 8) გოგობია მ. – „ საბანკო საქმე“
- 9) გიგოლაშვილი გ., სადაზღვეო საქმე, თბილისი, 2010
- 10) გელაშვილი მ., რისკების მართვა კომერციულ ბანკებში. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, 2018
- 11) დებულევა „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“,
- 12) საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება #71, 2008 წ. 17 მარტი.
- 13) საქართველოს ეროვნული ბანკი. სადაზღვეო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები.
- 14) „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, თბილისი, 2016
- 15) ვანიშვილი მ. , ფიჩხაია ი., ფიჩხაია ზ. – „ საფინანსო-საბანკო სტატისტიკა- თბილისი, გამომცემლობა „ დანი“, 2009
- 16) ვერულავა თ., „ რისკის მართვა“, თბილისი. 2013
- 17) ვერულავა, თენგიზ. ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა , საქართველოს უნივერსიტეტი.თბილისი. 2009

- 18) ინგოროყვა ა., ცაავა გ. – „ ფინანსური მენეჯმენტი“: თეორია, მოთედები და პრაქტიკა, ტომი I, (სახელმძღვანელო), ორგანიზაციებისა და დანესებულებების დინანსების მართვა. - თბილისი, გამომცემლობა 141 გრაალი“, 2011
- 19) ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ., - „ საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები“ - თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2009
- 20) კაკულია რ., „ საბანკო საქმე“, თბილისი, 2010
- 21) კაკულია რ., „ ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა“, თბილისი, 2012
- 22) კოვზანაძე ი., გოგი კონტრიძე - თანამედროვე საბანკო საქმე : თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014
- 23) ლაზვიაშვილი ნ. - რისკმენეჯმენტი, თბილისი 2010.
- 24) მაგრაქველიძე დ. ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები, თბილისი, 2012
- 25) მოსიაშვილი ვ., „ საბანკო საქმის საფუძვლები“, თბილისი, 2010
- 26) სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი „ ეკონომიკა და საბანკო საქმე“, 2016, ტომი 4, N2
- 27) საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში (2012 წელი)
- 28) ცაავა გ, საბანკო საქმე, თბილისი, 2005
- 29) ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. – „რისკოლოგია - ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი“ სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „ აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“.
- 30) შიუკაშვილი მ., რისკების მართვა საბანკო სესტემებში - წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2015
- 31) ქოქიაური ლ., „ საბანკო საქმიანობის საფუზვლები“, თბილისი, 2010
- 32) ჯაყელი, კახაბერ. დაზღვევა და ჯანდაცვის ეკონომიკა . თბილისი. 2010
- 33) Thoyts, Rob. Insurance Theory and Practice. Routledge. 1 edition. 2010
- 34) Rejda, George E. Principles of Risk Management and Insurance. 12/e. 2013
- 35) Фёдоров, Т. А. Страхование : Учебник. 2-е изд. Экономистъ. 2004

36) Грищенко, Н. Б. Основы страховой деятельности: Учебное пособие. Барнаул: Изд-во Алт. ун-та. 2001

37) <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>

38) <https://lemons.ge/ka/blog/51->

[%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98/95-](https://lemons.ge/ka/blog/51-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98/95-)

[%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-](https://lemons.ge/ka/blog/51-%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-)

[%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90-](https://lemons.ge/ka/blog/51-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90-)

[%E1%83%A3%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2-](https://lemons.ge/ka/blog/51-%E1%83%A3%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2-)

[%E1%83%93%E1%83%90-](https://lemons.ge/ka/blog/51-%E1%83%93%E1%83%90-)